

**გაეროს ჩართულობა კვიპროსის პრობლემისა და
აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში
შედარებითი ანალიზი**

თბილისი 2020

**გაეროს ჩართულობა კვიპროსის პრობლემისა და აფხაზეთის
კონფლიქტის მოგვარების საკითხში. შედარებითი ანალიზი**

კვლევა მომზადებულია საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მიერ.

პროექტზე მომუშავე ჯგუფი გაწეული დახმარებისა და კვლევაში მონაწილეობისთვის მადლობას უხდის ბატონებს: ირაკლი მენაღარიშვილს, ლევან გერაძესა და ვაჟა ლორთქიფანიძეს, აგრეთვე, საქართველოს უნივერსიტეტის რექტორს, ბ-ნ კონსტანტინე თოფურიას და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორს, ე-ნ ნათია კალაძეს

ხელმძღვანელი: გია ჯაფარიძე

ავტორები: გიორგი ხარებავა

გიორგი ჯოხაძე

ნატია დავლიანიძე

Copyright © საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 2020

ISBN 978-9941-9666-7-5

სარჩევი

ძირითად ცნებათა ინტერპრეტაცია	4
საკითხის აქტუალობა	6
კვლევის მიზანი	7
კვლევის ამოცანები.....	7
ლიტერატურის მიმოხილვა	8
კვლევის მეთოდოლოგია	12
თავი I - კვიპროსი და აფხაზეთი; ისტორიული მიმოხილვა	15
კვიპროსი	15
აფხაზეთი.....	18
თავი II - გაეროს ჩართულობა კვიპროსისა და აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარებაში.....	20
კვიპროსი	20
ყოვლისმომცველი პოლიტიკური გადაწყვეტა.....	21
რეფერენდუმის შემდგომი მდგომარეობა.....	26
აფხაზეთი.....	29
ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოგვარება.....	31
გაეროს მონაწილეობა კვიპროსის პრობლემისა და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში - განსხვავებები.....	36
თავი III - აფხაზეთისა და კვიპროსის პრობლემების მოგვარების პროცესში გაეროს განსხვავებული ჩართულობის მიზეზები	37
დასკვნა.....	46
ბიბლიოგრაფია	49
გამოყენებული ოფიციალური დოკუმენტები.....	51
გამოყენებული ინტერნეტ წყაროები	52

ძირითად ცნებათა ინტერპრეტაცია

ბელგიური მოდელი - გაეროს გენერალური მდივნის, კოფი ანანის, თავდაპირველი ინიციატივით, კვიპროსის ტერიტორიული სტრუქტურა უნდა დაფუძნებოდა ბელგიურ მოდელს, რაც გულისხმობდა ერთიანი, ფედერაციული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, პოლიტიკური თანასწორობის პრინციპზე დამყარებული ორი ფედერაციული სუბიექტით.

ბიზონალურობის (Bi-Zonal) პრინციპი - გულისხმობს ერთიანი, ფედერაციული სახელმწიფოს დაფუძნებას ორი განსხვავებული ადმინისტრაციით (ბერძნულ-კვიპროსული და თურქულ-კვიპროსული ადმინისტრაციები).

ბიკომუნალურობის (Bi-Communal) პრინციპი - გულისხმობს ერთიანი, ფედერაციული სახელმწიფოს დაფუძნებას, რომელშიც ბერძნულ-კვიპროსული და თურქულ-კვიპროსული თემი იცხოვრებს ერთიან, ფედერაციულ სახელმწიფოში, თუმცა, წარმოდგენილი იქნება განსხვავებული ადმინისტრაციებით.

ბუფერული ზონა კვიპროსზე - ე.წ. „მწვანე ხაზი“. გაეროს სამშვიდობო ძალებისა და სამოქალაქო პოლიციის მიერ ადმინისტრირებადი 180 კმ სიგრძის ტერიტორია, რომელიც შეიქმნა 1964 წელს.

ენოსი - მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან - Ένωσις, რაც ერთობას, კავშირს, გაერთიანებას, მიერთებას ნიშნავს და აღნიშნავს კვიპროსზე 1950-იან წლებში დაწყებულ მოძრაობას, რომლის მიზანი იყო კუნძულზე ბრიტანული მმართველობის დასრულება და საბერძნეთთან გაერთიანება.

კვიპროსი - საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული კვიპროსის რესპუბლიკა.

საქართველოს საკითხზე გაეროს მეგობარ ქვეყანათა ჯგუფი - გაეროს გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყანათა ჯგუფი (Group of Friends of the UN Secretary-General), ჩართული იყო ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის მოლაპარაკებებში, როგორც კონფლიქტის ერთ-ერთი ფასილიტატორი. მეგობართა ჯგუფი 5 ქვეყნისგან შედგებოდა: რუსეთის ფედერაცია, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია.

ტაქსიმი - მომდინარეობს თურქული სიტყვიდან - Taksim, რაც „გაყოფას“ ნიშნავს და ასახავს თურქი კვიპროსელების სურვილს, კუნძული ბერძნულ და თურქულ თემს შორის გაეყოთ.

ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭო - ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენის ღონისძიებების ფარგლებში გაეროს ინიციატივით შექმნილი მაღალი დონის პოლიტიკური ფორმატი. საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში 3 სამუშაო ჯგუფი ფუნქციონირებდა, რომლებიც პოლიტიკური და უსაფრთხოების, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხებზე მუშაობდნენ.

შვიცარიული მოდელი - გულისხმობდა კვიპროსის გაერთიანებას კონფედერაციული ტიპის მოწყობის სახელმწიფოში, რომელშიც კონფედერაციის სუბიექტებს ექნებოდათ მნიშვნელოვანი გავლენა პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებების შემუშავებაზე, თუმცა, თითოეულ სუბიექტს ეკრძალებოდა სეცესია და დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაფუძნება.

ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატი - კონფლიქტის შემდგომ ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის დაწყებული პოლიტიკური დიალოგის პირველი ფორმატი, რომელიც 1994 წლის 4 აპრილს გაფორმებული დოკუმენტის, „განცხადება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ღონისძიებების შესახებ“ საფუძველზე ჩამოყალიბდა და ის კონფლიქტის მოსაგვარებლად რეგულარული მოლაპარაკებების გამართვას გულისხმობდა. ამ ფორმატის შეხვედრები ჟენევასა და მოსკოვში იმართებოდა.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები - 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით საქართველოსა და რუსეთს შორის შექმნილი ფორმატი, რომელშიც სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლებიც იღებენ მონაწილეობას. ფორმატს გაერო, ეუთო და ევროკავშირი თანათავმჯდომარეობენ.

UNFICYP - United Nations Peacekeeping Force In Cyprus - გაეროს სამშვიდობო ძალები კვიპროსზე, რომელიც კვიპროსის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და კუნძულზე ვითარების გაუარესების შემდეგ, გაერომ, 1964 წელს უშიშროების საბჭოს 186-ე რეზოლუციით, კვიპროსზე დააფუძნა.

UNOMIG - United Nations Observer Mission in Georgia - გაეროს

სადამკვირვებლო მისია საქართველოში, რომლის დაფუძნება გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის 24 აგვისტოს რეზოლუციით გადაწყდა (თავდაპირველად 3 თვის ვადით) და, რომელიც 2009 წლის ივნისამდე ფუნქციონირებდა.

საკითხის აქტუალობა

მრავალი წელია საქართველოსა და კვიპროსის რესპუბლიკას ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული კვიპროსის რესპუბლიკა 1974 წლიდან ვერ აკონტროლებს კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილს, საქართველო კი 1993 წლიდან აფხაზეთის რეგიონს. აღნიშნულ კონფლიქტებში შემდეგი ძირითადი მსგავსებები იკვეთება:

1. ორივე შემთხვევაში ევროპის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი გარეშე ძალის მიერაა ოკუპირებული/დაკავებული.
2. ორივე შემთხვევაში ოკუპირებული ტერიტორიები საერთაშორისო აღიარების არმქონე ე.წ. სახელმწიფოებს წარმოადგენენ. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას მხოლოდ თურქეთი აღიარებს, აფხაზეთს კი - რუსეთის ფედერაცია, სირია, ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ.
3. ორივე შემთხვევაში გაერო სამშვიდობო პროცესების მონაწილე იყო/არის.
4. ორივე შემთხვევაში არსებობს განსხვავებული იდენტობის მქონე მხარეები, რაც სამშვიდობო პროცესების შემაფერხებელი შიდა ფაქტორია.
5. კვიპროსი და საქართველო ევროპული ინტეგრაციის სურვილს გამოხატავდა. სხვა ანალოგიური შემთხვევა ევროპაში, როდესაც ორად გაყოფილი სახელმწიფო ევროპული ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის არ არსებობს (კოსოვო პრეცედენტის არშემქმნელ, უნიკალურ შემთხვევად - Sui Generis განიხილება).

ორივე შემთხვევაში არსებობდა საკითხის მოგვარების მცდელობები, თუმცა, უკლებლივ ყველა მათგანი წარუმატებლად დასრულდა. ამ

მცდელობებში ჩართული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თუმცა, კონფლიქტებს შორის არსებული მსგავსებების მიუხედავად, წინასწარი დაკვირვებით, გაერო კვიპროსზე განვითარებულ პროცესებში გაცილებით უფრო აქტიურად მონაწილეობდა, ვიდრე აფხაზეთის შემთხვევაში.

კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია, აჩვენოს, რაში გამოიხატებოდა გაეროს ჩართულობა და როლი ორივე კონფლიქტის ყოვლისმომცველი და სიცოცხლისუნარიანი მოგვარების საქმეში, გამოკვეთოს ამ ორ შემთხვევას შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები და დაადგინოს არსებული განსხვავებების მიზეზები.

კვლევის ამოცანები

1. აღნიშნული კონფლიქტების მოსაგვარებლად გაეროს ეგიდით მიმდინარე შეხვედრათა ფორმატებისა და მოლაპარაკებების აღწერა და ანალიზი.
2. ორივე შემთხვევაში პრობლემების მოსაგვარებლად გაეროს მიერ წარმოდგენილი ძირითადი ინიციატივების აღწერა, ანალიზი, შედარება და ნდობის აღდგენის ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება.
3. კონფლიქტებში ჩართული მხარეების სტატუსისა და ინტერესების გამოკვეთა.
4. კვიპროსისა და აფხაზეთის კონფლიქტებში ჩართული გარე ძალების (კვიპროსის შემთხვევაში - თურქეთი, საბერძნეთი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და შემდგომში ევროპის კავშირი, აფხაზეთის შემთხვევაში - რუსეთის ფედერაცია, აშშ და გაეროს გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყანათა ჯგუფი) საერთაშორისო სტატუსის გავლენის დადგენა კონფლიქტებში გაეროს როლის ეფექტურობაზე.
5. საერთაშორისო პოლიტიკაში არსებული დღის წესრიგის გავლენა კონფლიქტების მოგვარებაში გაეროს მონაწილეობის ეფექტურობაზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვიპროსის პრობლემა და კუნძულზე გაეროს საქმიანობა აკადემიურად კარგადაა შესწავლილი, განსხვავებით აფხაზეთისგან, რომლის შესახებ ლიტერატურა მწირია, ხოლო გაეროს ჩართულობაზე მონაცემები, ფაქტობრივად, არ არსებობს.

სამშვიდობო პროცესებში გაეროს მონაწილეობასთან დაკავშირებით პროფესორი ნიკოლას სამბანისი გამოყოფს იმ ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორებს, რომელიც სამშვიდობო მისიის ეფექტურობას განაპირობებს. ენდოგენურ ფაქტორებში გაეროს ინიციატივები და კრეატიულობა, ბერკეტების გამოყენების შესაძლებლობა დაპირისპირებულ მხარეებზე, ადეკვატური სტრატეგიის შერჩევა და ნეიტრალურობის ხარისხი მოიაზრება (Sambanis, 2007, 82). ხოლო, გარეგან ფაქტორებში - მხარეთა თანხმობა გარკვეულ საკითხებზე, სამშვიდობოების მიუკერძოებლობა, მესამე მხარის სიძლიერე, დაინტერესებული ზესახელმწიფო(ები)-სა და რეგიონალური ძალების მხარდაჭერა, ეროვნული, სუბ-ეროვნული და არასახელმწიფო აქტორების როლი, დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღებული ძალების კონკრეტული ტერიტორიებიდან დადგენილ ვადაში გაყვანა, გაეროს სამეთაურო შტაბის ეფექტურობა, ადეკვატური ფინანსური და ლოჯისტიკური დახმარება (Sambanis, 2007, 83).

სუჰაბოლუკბაში, ნაშრომში - „კვიპროსის საკითხი და გაერო: სამშვიდობო მოლაპარაკებები 1954-1996 წლებში,“ ეყრდნობა ფუნქციონალისტურ თეორიას, რომლის მიხედვით, მხარეთა აპოლიტიკურ საკითხებში თანამშრომლობას, მათ შორის ეკონომიკური, სოციალური და ტექნიკური კავშირების გაფართოებას სამშვიდობო მოლაპარაკებებში მნიშვნელოვანი პროგრესის მოტანა შეუძლია. (Bolukbasi, 1998, 431).

ველინგტონის უნივერსიტეტის პროფესორის - ეშრეფ აკსუს სტატიაში „გაერთიანებული ერები, შიდა სახელმწიფოებრივი მშვიდობის დაცვა და ნორმატიული ცვლილება“ (2003), ავტორი აღნიშნავს, რომ კვიპროსის საკითხმა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება პირველად 1963 წლის 26 დეკემბერს მიიპყრო, როდესაც მაკარიოსი მსოფლიოს შესაძლო თურქული ინტერვენციის შესახებ აფრთხილებდა. ავტორი საუბრობს, რომ კუნძულზე გაეროს სამშვიდობო მისიის დაფუძნებამდე ნატოს ჯარების განლაგების იდეა განიხილებოდა, თუმცა, ეს შემდეგი მიზეზების გამო არ მოხდა: 1. მაკარიოსს ეშინოდა, რომ ამ შემთხვევაში ნატოს ინტერესები გადაინაცვლებდა პირველ ადგილზე

და კვიპროსის ინტერესები უგულვებელყოფილ იქნებოდა, 2. 1960 წლის კონსტიტუციით კვიპროსი იყო მიუმხრობელი (Non-Aligned) ქვეყანა, კუნძულზე ნატოს შემოსვლით კი მის მიუმხრობლობასაც საფრთხე შეექმნებოდა, 3. მაკარიოსი ფიქრობდა, რომ ამ შემთხვევაში თურქებს უპირატესობა მიენიჭებოდათ, როგორც აშშ-ს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოკავშირეებს. აქედან გამომდინარე, კვიპროსის პრეზიდენტმა გადაწყვიტა კონფლიქტის მოგვარება გაერთიანებული ერებისთვის (UN) მიენდო (Aksu, 2003, 132).

გლობალურ აქტორებზე საუბრისას, ავტორი გამოყოფს დიდ ბრიტანეთს, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს. სსრკს კვიპროსის საკითხზე ორი ძირითადი მიზანი გააჩნდა: 1. აღეკვეთა კუნძულის ნატოში ინტეგრირების ნებისმიერი მცდელობა; 2. გაუქმებინა კუნძულზე არსებული ბრიტანული ბაზები. ამიტომ, მოსკოვი მიესალმა მაკარიოსის გადაწყვეტილებას კონფლიქტში ნატოს არ ჩარევის შესახებ. დროდადრო იცვლებოდა საბჭოთა კავშირის პოზიცია გარკვეული საკითხების გათვალისწინებით. დამოუკიდებლობის შემდეგ, სსრკ კვიპროსზე მთავარ საფრთხედ მიიჩნევდა თურქეთს, რომელიც, მისი აზრით, ხელს უწყობდა კუნძულის ხელოვნურად დაყოფას. თუმცა, 1967 წლის ბერძნული გადატრიალების შემდეგ, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოვიდა პრო-ამერიკული სამხედრო ხუნტა, მოსკოვში იგრძნეს, რომ ათენიდან უფრო მეტი საფრთხე მოდიოდა, ვიდრე ანკარადან. სსრკ-მ მხარი არ დაუჭირა თურქეთის მიერ კუნძულზე ინტერვენციას (Aksu, 2003, 133).

აკუსს მოსაზრებით, კრემლისგან განსხვავებით, თეთრი სახლი კონფლიქტის მოგვარებით იყო დაინტერესებული. მისი, როგორც ნატოს ლიდერი სახელმწიფოს, ინტერესებში არ შედიოდა ალიანსის ორი წევრისა და მისი ორი უმნიშვნელოვანესი მოკავშირის - თურქეთისა და საბერძნეთის ქიშპი. ის კონფლიქტის მთელი პერიოდის განმავლობაში ამ ორ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ბალანსის დაცვას ცდილობდა, რაც აისახებოდა კვიპროსის საკითხზეც (Aksu, 2003, 133). საბერძნეთში აშშ-ის მიზანი იყო, რომ იქ საბჭოთა კავშირის პოზიციების გაძლიერება არ დაეშვა, საბერძნეთში 1960-იან წლებში კომუნისტური პარტია მოძლიერდა, რაც საფრთხეს ქმნიდა, ამის გამო აშშ-მა 1967 წელს საბერძნეთში მომხდარ სამხედრო გადატრიალებას დაუჭირა მხარი (Aksu, 2003, 134).

კვიპროსის კონფლიქტზე საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დიდი ბრიტანეთის, როგორც

ყოფილი მეტროპოლიის ინტერესებზე. აკსუს აზრით, ლონდონი ეწინააღმდეგებოდა კონფლიქტში გაეროს ჩართულობას, რადგან კუნძულზე საკუთარი გავლენების დაკარგვას უფრთხოდა. ეს დიდწილად გაეროს მოქმედებებით იყო გამოწვეული, რომელიც მხარს უჭერდა დეკოლონიზაციის პროცესს, რაც ბუნებრივია, ლონდონში არასასურველ რეალობად აღიქმებოდა. თემთა პალატაში გამოსვლისას თავდაცვის მდივანმა თორნიკროფტმა განაცხადა, რომ კვიპროსს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმპერიისთვის, რადგან მასზე განლაგებული ავიაბაზები ახლო აღმოსავლეთის და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის კონტროლის კარგი მექანიზმი იყო (Aksu, 2003, 134).

სწორედ ბრიტანული ინტერესები იყო იმის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი, რომ გაერო კონფლიქტის საწყის ეტაპზე, მაქსიმალურად ცდილობდა სამშვიდობო ძალების იმგვარად დაკომპლექტებას, რომ სამშვიდობო პროცესზე ლონდონის გავლენა მინიმუმამდე შემცირებულიყო. გაეროს სამშვიდობო ძალების სტრუქტურას კვიპროსზე აღწერს ჯეიმს სტეგენგა ნაშრომში „გაეროს მშვიდობისმყოფელები: კვიპროსის სარისკო შემთხვევა“, (1970). ავტორი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კვიპროსზე ბრიტანული სამშვიდობოების რაოდენობა დასაწყისში 3500-მდე განისაზღვრა, თუმცა, ამ რიცხვისთვის არასდროს მიუღწევია. მათი რაოდენობა დროთა განმავლობაში სულ უფრო მცირდებოდა. გარდა ამისა, კვიპროსის შემთხვევაში, ბრიტანულ სამშვიდობოებს აბალანსებდნენ სხვა ქვეყნის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები, რაც გამორიცხავდა მიკერძოებულობას (Stegenga, 1970, 5). კვიპროსის კონფლიქტში გაეროს წარმატებულ სამშვიდობო ოპერაციას ავტორი რამდენიმე ფაქტორით ხსნის. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ის, რომ მოხდა სამეთაურო შტაბისა და გენერალური მდივნის ერთმანეთთან დაკავშირება. სამეთაურო შტაბი პირდაპირ იყო ანგარიშვალდებული გაეროს გენერალურ მდივანთან, შესაბამისად, მდივანი ყოველთვის კარგად ინფორმირებული და სამშვიდობო პროცესებში სრულად ჩართული იყო (Stegenga, 1970, 6).

სტეგენგას პოზიციას იზიარებს ჯონ ტეოდორიდესიც, რომელიც ნაშრომში: „გაეროს მშვიდობისმყოფელები კვიპროსში (UNFICYP)“, კუნძულზე გაეროს სამშვიდობო ძალების სტრუქტურას აღწერს. ავტორი აღნიშნავს, რომ გაეროს სხვა მისიებისგან განსხვავებით, კვიპროსში დისლოცირებულ სამშვიდობო ძალებს შეეძლოთ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა (Theodorides, 1982, 765). ავტორი აღნიშნავს, რომ UNFICYP -ს შეუძლია ყველაფერი გააკეთოს

თავდაცვისთვის. ტერმინი თავდაცვა მოიცავს: 1. გაეროს პოსტების, მისი ჯავშანტრანსპორტიორებისა და სხვა რეკვიზიტების დაცვას; 2. გაეროს სამანდატო ძალების სამხედრო დამკვირვებლების უსაფრთხოების გარანტირებას (Theodorides, 1982, 766-767). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა გაეროს წარმატებული მისია კვიპროსში, კუნძულზე თავისუფლად გადაადგილების საშუალება იყო (Theodorides, 1982, 775).

აფხაზეთის კონფლიქტსა და მის მოგვარებაში გაეროს მონაწილეობაზე აკადემიური ლიტერატურა შედარებით ნაკლებია. ერთ-ერთი ასეთი საყურადღებო შემთხვევაა ტედ ჰოპფის სტატია, სახელწოდებით „იდენტობა, ლეგიტიმაცია და სამხედრო ძალის გამოყენება: რუსეთის დიდი ძალის იდენტობა და სამხედრო ინტერვენცია აფხაზეთში“ (2005). სტატიაში ავტორი კონფლიქტის შემდგომ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად საქართველოს ხელისუფლების მცდელობაზე საუბრობს. ის აღნიშნავს, რომ შევარდნაძე ცდილობდა ხმა მიეწვდინა ეუთოსთვის, (OSCE) რათა მომხდარიყო აფხაზეთის საკითხზე უმაღლესი დონის პოლიტიკური შეხვედრა, რომელშიც ჩართული იქნებოდნენ გლობალური ძალები და უზრუნველყო გაეროს მშვიდობისმყოფელების დიდი ჩართულობა აფხაზეთის სამშვიდობო პროცესში, რაც სამწუხაროდ, უშედეგოდ დასრულდა. ამიტომ, მას რუსეთისთვის დახმარების თხოვნა მოუხდა (Hopf, 2005, 229).

ავტორის შეფასებით, რუსეთის მოქმედებები აფხაზეთში არალეგიტიმურია, რადგან კრემლმა დაარღვია უამრავი საერთაშორისო ნორმა და პრინციპი, შეარყია საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა (Hopf, 2005, 230). ჰოპფის მისაზრებით, იდეალურ სიტუაციაში დსთ-ს მშვიდობისმყოფელები: 1. უნდა ყოფილიყვნენ გაეროს ზედამხედველობის ქვეშ; 2. უნდა ყოფილიყვნენ მიუკერძოებლები; 3. მოხალისეობრივი. აქედან ყველაზე დიდი წინაღობა იყო დსთ-ს ძალების მიკერძოებულობა. ისინი გამოხატავდნენ კრემლის ოფიციალურ ნებას აფხაზეთის საკითხში, რამაც მიგვიყვანა იქამდე, რომ აფხაზეთში საერთაშორისო ჩართულობა არ იყო მაღალი (Hopf, 2005, 232).

ჰოპფის პოზიციას იზიარებს ერინ მუნი, რომელიც სტატიაში „შიდა გადაადგილება და კონფლიქტი აფხაზეთში: საერთაშორისო გამომხაურება და მათი მფარველობითი ეფექტი“ (1995) საუბრობს, რომ აფხაზეთის სამშვიდობო პროცესში არსებული არასაკმარისი პროგრესი, ძირითადად, მოსკოვის პოლიტიკის გამოძახილია (Mooney, 1995, 215).

მუნი ხაზს უსვამს დასავლური სახელმწიფოების პოზიციას, რომელსაც ეჭვი შეაქვს დსთ-ს სამშვიდობო ძალების მიუკერძოებლობაში და მიიჩნევს, რომ ისინი რუსეთის ხელში იმპერიული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი მექანიზმია (Mooney, 1995, 217).

საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის (რომი) დირექტორი და ევროპის კავშირის ყოფილი უმაღლესი კომისრის, ფედერიკა მოგერინის სპეციალური მრჩეველი, ნატალი ტოჩი, თავის წიგნში „ევროპის კავშირი და კონფლიქტების გადაჭრა: მშვიდობის წახალისება უკანა ეზოში“, Nathalie Tocci, “The EU and Conflict Resolution Promoting peace in the backyard” (First published 2007 by Routledge), მიმოიხილავს რამდენიმე საერთაშორისო კონფლიქტს ევროპასა და მის სამეზობლოში. ავტორი წიგნის პირველ თავში საუბრობს ევროპის კავშირის როლზე კონფლიქტების გადაჭრაში, მეორე თავი ეხება კვიპროსის რეუნიფიკაციის ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობას 2004 წელს, სადაც მიმოიხილულია კუნძულის უახლესი ისტორია, კონფლიქტის მიზეზები და განვითარება, სამშვიდობო მოლაპარაკებები და მათში ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივის გავლენა, ანანის გეგმა და 2004 წლის რეფერენდუმი, რეფერენდუმის შემდეგ ევროპის კავშირის ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემები ჩრდილოეთ კვიპროსში და ა.შ., შემდეგი თავებში მიმოიხილულია სერბეთის, ისრაელ-პალესტინისა და თურქეთის ქურთული პრობლემების საკითხები და მათში ევროპის სამშვიდობო როლი, მეშვიდე თავი კი ეხება საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს, საქართველოს და სამხრეთ კავკასიის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას ევროპის კავშირისთვის, ევროპის კავშირის ჩართულობას საქართველოსა და მის სეპარატისტულ რეგიონებთან მიმართებაში, მიმოიხილულია კონფლიქტის ისტორია და მიზეზები, ბოლო თავებში მოცემულია სამეზობლოში არსებულ კონფლიქტებში ევროპის კავშირის როლის შედარებითი ანალიზი და დასკვნები.

კვლევის მეთოდოლოგია

მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომი თვისებრივი კვლევის მეთოდებს ეყრდნობა. საჭირო ინფორმაციის მისაღებად გამოყენებულ იქნა პირველად მონაცემთა ანალიზი, როგორცაა გაეროს მიერ კვიპროსთან და აფხაზეთთან დაკავშირებით მიღებული შემდეგი სახის ყველა

დოკუმენტი: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, უშიშროების საბჭოსადმი გაეროს გენერალური მდივნის მიერ გაკეთებული განცხადებები, გაეროს უშიშროების საბჭოს საპრეზიდენტო განცხადებები, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციები, ადამიანის უფლებათა საბჭოს დოკუმენტები.

დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, დამუშავდა აფხაზეთის და კვიპროსის პრობლემებთან დაკავშირებით არსებული მეორადი წყაროები, როგორცაა აკადემიური ლიტერატურა, რომელშიც ავტორი, ანსარუდაქციოჯგუფი აღნიშნული შემთხვევების გარკვეული ასპექტების გამოკვეთასა და ახსნას ცდილობს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა აკადემიურ ლიტერატურაში არსებული დისბალანსი; კვიპროსის საკითხსა და იქ მიმდინარე პროცესებში გაეროს როლზე ლიტერატურა მრავალფეროვანია, აფხაზეთის შემთხვევაში კი პრაქტიკულად არ მოიპოვება. ამდენად, ნაკლები ინფორმაციის შესავსებად, საჭირო გახდა 3 სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარება იმ ადამიანებთან, რომლებიც სხვადასხვა დროის განმავლობაში აფხაზეთის საკითხის მოგვარებაზე გაეროსთან ერთად მუშაობდნენ¹.

კვლევის აღწერითი ნაწილის დასრულებისას კვიპროსისა და აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარების საკითხში გაეროს მკვეთრად განსხვავებული მონაწილეობა გამოიკვეთა, რაც ქვემოთ დეტალურადაა გადმოცემული. აღნიშნული განსხვავებების განმაპირობებელი ფაქტორების დასადგენად კვლევის ამხსნელობით ნაწილში შემოწმდა შემდეგი ჰიპოთეზა:

აფხაზეთისა და კვიპროსის კონფლიქტების გადაწყვეტაში გაეროს მონაწილეობის ეფექტურობა ძირითადად ამ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელმა შემდეგმა ფაქტორებმა განსაზღვრა:

- საქართველოსგან განსხვავებით, კვიპროსს საბერძნეთის სახით საერთაშორისო არენაზე ძლიერი ლობისტი ჰყავდა, რომელიც მას როგორც გაეროში, ასევე ევროპის კავშირში ლობირებდა. ამ ფაქტორმა კი კვიპროსის საკითხის გადაწყვეტაში გაეროს მონაწილეობის ეფექტურობა გაზარდა.
- კვიპროსის პრობლემის მოგვარებაში 90-იანი წლებიდან შემოდის ევროპის კავშირიც, რომელიც გაეროს მედიატორობისთვის

1 ინტერვიუ შედგა აფხაზეთის მთავრობის მეთაურის მრჩეველთან, ბ-ნ ლევან გერაძესთან, ყოფილ სახელმწიფო მინისტრ, ბ-ნ ვაჟა ლორთქიფანიძესთან და ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ, ბ-ნ ირაკლი მენაღარიშვილთან

კატალიზატორი აღმოჩნდა, ევროპის კავშირის წევრობა და მისგან მომდინარე სხვადასხვა სარგებელი თურქულ-კვიპროსული თემისთვის იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა რეუნიფიკაციის მხარდამჭერი გახდა. საქართველოს შემთხვევაში მსგავსი ფაქტორი არ არსებობდა.

- კვიპროსის შემთხვევაში გაეროს მედიატორობისთვის ხელშემწყობი აღმოჩნდა 2000-იანი წლების დასაწყისში თურქეთის პოზიციის ცვლილება, კვიპროსზე არსებული სტატუს-კვო ანკარასთვის ევროპის კავშირში გაწევრიანების გზაზე დაბრკოლება იყო. კუნძულის ნაწილის ოკუპაცია თურქეთს ამ მთავარი საგარეო პოლიტიკური მიზნის მიღწევას ურთულებდა, განსხვავებით რუსეთისგან, რომლისთვისაც აფხაზეთში სტატუს-კვოს შენარჩუნება მისთვის ზიანის მომტანი არ ყოფილა.
- სსრკს დაშლის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო ვითარება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში გაეროს როლს ამცირებდა, რადგანაც საერთაშორისო დღის წესრიგში სხვა საკითხები მოექცა: რუსეთის დემოკრატიზაციის მხარდაჭერა, სსრკს დაშლის შემდეგ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში დარჩენილი ბირთვული არსენალის საკითხი, რუსეთის დეზინტეგრაციის საფრთხე, ევროპული ინტეგრაცია და ბალკანეთის კონფლიქტები, რაც სამხრეთ კავკასიის რეგიონს დასავლეთისთვის ნაკლებ პრიორიტეტულს ხდიდა.
- კვიპროსისგან განსხვავებით, აფხაზეთი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრის მიერაა ოკუპირებული, რუსეთს ინსტიტუციურად გაეროს ეგიდით მიმდინარე პროცესებზე კონტროლის მეტი მექანიზმი აქვს, ვიდრე თურქეთს, რამაც ასევე განაპირობა აღნიშნული სხვაობა გაეროს მონაწილეობაში.
- 2015-2017 წლებში კვიპროსულ თემებს შორის მოლაპარაკებებისთვის ბიძგის მიმცემი ბუნებრივი აირის ფაქტორი აღმოჩნდა, რადგან ეკონომიკური სარგებლის გამო, კუნძულის გაერთიანება თურქული თემისთვის ისევ (როგორც ევროპის კავშირის შემთხვევაში) ბევრად უფრო სასურველი გახდა. საქართველოს შემთხვევაში, ბუნებრივი რესურსებით საერთო სარგებლის მიღების პერსპექტივა არ ყოფილა, შესაბამისად აფხაზეთ მხარეს მსგავსი სტიმული არ გააჩნდა.

თავი I - კვიპროსი და აფხაზეთი; ისტორიული მიმოხილვა

კვიპროსი

კუნძული კვიპროსი 1878 წელს ოსმალეთის იმპერიამ დიდ ბრიტანეთს დროებით გადასცა.² ბერლინის კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილებით, კვიპროსი ბრიტანეთის პროტექტორატი გახდა, თუმცა, ნომინალურად სიუზერენი ამ დროისთვის ჯერ კიდევ ოსმალეთის სულთანი იყო. ბრიტანეთმა მისი ანექსია 1914 წელს, ოსმალეთის იმპერიის მიერ I მსოფლიო ომში გერმანიის მხარეს ჩართვის საპასუხოდ მოახდინა.³

დაძაბულობის პირველი სერიოზული კერა კუნძულზე ადრეულ 1950-იან წლებში გაჩნდა, როდესაც კვიპროსზე სამხედრო დაჯგუფება კვიპროსელი მებრძოლების ეროვნული ორგანიზაცია - EOKA შეიქმნა, რომლის მიზანიც კუნძულზე ბრიტანეთის მმართველობის დასრულება, ხოლო შემდეგ კვიპროსის საბერძნეთთან გაერთიანება - ენოსი იყო. ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ კვიპროსის მთავარეპისკოპოსი, მაკარიოს III და წარმომობით კვიპროსელი, საბერძნეთის შეიარაღებული ძალების ოფიცერი, გეორგიუს გრივასი, EOKA-ს გააქტიურებას ხელი II მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის დასუსტებამ და 1950-იან წლების საბერძნეთში ნაციონალისტური განწყობების გაძლიერებამ შეუწყო. 1955 წელს დაჯგუფების მიერ ეთნიკურად თურქი კვიპროსელის მკვლელობამ თურქულენოვან მოსახლეობაში საპროტესტო მუხტი გააღვივა. პარალელურად, კვიპროსზე შეიქმნა თურქული წინააღმდეგობის მოძრაობა - TMT, რომელიც EOKA-ს ებრძოდა, მისი ლიდერი, რაუფ დენკტაში, ამავედროულად ბრიტანელებთან ფარულ კომუნიკაციაში იყო.⁴ ამ პერიოდიდან, TMT-ს მიზანი ბერძნულ და თურქულ თემს შორის კუნძულის გაყოფა (თურქული სიტყვიდან - Taksim - ტაქსიმი, რაც გაყოფას ნიშნავს) გახდა.⁵

დეკოლონიზაციის შედეგად კვიპროსმა ლონდონ-ციურიხის შეთანხებით დამოუკიდებლობა 1960 წელს მიიღო. ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტორი დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი და თურქეთი გახდა. კვიპროსი მიუმხრობელ (Non-Aligned) სახელმწიფოდ

2 Dodd, 2010, 3

3 Dodd, 2010, 4

4 Sepos, 2008, 19

5 Kinosidu, 2009, 3

გამოცხადდა.⁶ აღსანიშნავია, რომ ის ამ მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელია. შეთანხმების მე-3 მუხლის მიხედვით, კუნძულზე სტატუს-კვოს შეცვლის შემთხვევაში, სამივე გარანტორ სახელმწიფოს, აღნიშნული ხელშეკრულების დასაცავად, განსაკუთრებული ზომების მიღების უფლება ჰქონდა.⁷

პარალელურად, 1960 წელს ქვეყნის კონსტიტუცია შეიქმნა, რომელშიც როგორც ბერძნული, ასევე თურქული თემის უფლებები იყო გარანტირებული.⁸ კუნძულის ეთნიკურად ბერძენი მოსახლეობის უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი ხელისუფლებაში თურქი კვიპროსელების არაპროპორციულად დიდი წარმომადგენლობა გახდა. კონსტიტუციის მიხედვით, კვიპროსის პარლამენტის ქვედა პალატაში, დეპუტატების 30%, ხოლო ზედა პალატაში - 50% თურქული მოსახლეობიდან უნდა ყოფილიყო არჩეული.⁹ გარდა ამისა, 10 წევრისგან შემდგარ მინისტრთა საბჭოში 3 ადგილი თურქული თემის ხელში აღმოჩნდა, ამავდროულად საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებიდან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა ყოფილიყო თურქი კვიპროსელების ხელში.¹⁰ ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც თურქულ კვიპროსული თემიდან უნდა არჩეულიყო, საგარეო და უსაფრთხოების საკითხებზე ვეტოს უფლებით სარგებლობდა.¹¹ 1960 წლის ჩარჩო-შეთანხმების მიხედვით, საბერძნეთსა და თურქეთს ქვეყნის სუვერენიტეტის დასაცავად კვიპროსზე სამხედრო კონტიგენტის ყოლის უფლება მიეცა (60%-40%-ზე საბერძნეთის სასარგებლოდ).¹²

კუნძულზე მცხოვრებ თურქებსა და ბერძნებს შორის არსებული დაძაბულობა ღრმა პოლიტიკურ კრიზისში 1963 წელს გადაიზარდა, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტმა, მთავარეპისკოპოსმა მაკარიოს III-მ, კონსტიტუციის 13 დამატება შეიმუშავა, რომელიც, თურქი მოქალაქეების უფლებებს ზღუდავდა. კონსტიტუციური ცვლილებები კვიპროსის ხელისუფლებაში თურქული თემის წარმომადგენლობის შემცირებასა და ვიცე-პრეზიდენტისთვის ვეტოს უფლების ჩამორთმევას ითვალისწინებდა.¹³ პროტესტის ნიშნად, თურქმა კვიპროსელებმა დატოვეს ხელისუფლება და მთავრობა დროებით დისფუნქციური

6 Cyprus Treaty of Guarantee, 1960, Article 1

7 Cyprus Treaty of Guarantee, 1960, Article 3

8 Cyprus Constitution, 1960

9 Cyprus Constitution 1960, Article 60

10 Cyprus Constitution 1960, Article 46

11 Cyprus Constitution 1960, Article 1

12 Cyprus Constitution 1960, Article 129

13 Dodd, 2010, 48-49

გახდა. შექმნილ კრიზისში სუვერენიტეტის გარანტიორებს სურდათ ნატოს ძალების განთავსება კუნძულზე, თუმცა, ამ საკითხზე მათ შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა. მალევე ვითარება შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. 1963 წელს თურქული წინააღმდეგობის მოძრაობამ კუნძულზე დაიკავა სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი პოზიცია - გზა ნიქოზიიდან კირენიამდე. 1963-1974 წლებში ბერძენ კვიპროსელებს ზემოხსენებულ ტერიტორიაზე შესვლა მხოლოდ გაეროს სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებთან ერთად შეეძლოთ.¹⁴

კვიპროსის კრიზისი 1967-74 წლებში, საბერძნეთში სამხედრო ხუნტის მმართველობის დროს (ე.წ. „შავი პოლკოვნიკების ეპოქა“) გაღრმავდა. ხუნტა ეჭვის თვალით უყურებდა კვიპროსის პრეზიდენტის და კომუნისტური პარტიის ფარულ თანამშრომლობას და მიაჩნდა, რომ მაკარიოსი აღარ იყო „ენოსი“-ს მომხრე. ათენმა მაკარიოსისთვის ძირის გამოთხრა დაიწყო.¹⁵ საბოლოოდ, საბერძნეთის მხარდაჭერილი სამხედრო გადატრიალების გზით კვიპროსზე 1974 წლის 15 ივლისს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება დაემხო, მაკარიოსი კი კუნძულიდან გაიქცა. მისი ადგილი ნიკოს სამპსონმა დაიკავა, რომელიც ულტრანაციონალისტი იყო და ანტი-თურქული განწყობებით გამოირჩეოდა.¹⁶

მაკარიოსის ჩამოგდებაზე თურქეთის პასუხი საკმაოდ მწვავე იყო. ანკარამ რამდენიმე ძირითადი მოთხოვნა წამოაყენა, მათ შორის, სამპსონის შეცვლა და კუნძულზე რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა, კვიპროსის ეროვნული გვარდიიდან 650 ბერძენი ოფიცრის გაწვევა, თურქი-კვიპროსელი მოქალაქეების უფლებების გათანაბრება ბერძნულ თემთან და თურქი კვიპროსელების დასახმარებლად კუნძულის ჩრდილოეთ სანაპიროსთან წვდომა, ბერძნულ კვიპროსული თემის აზრით, მათზე დათანხმება განუზომლად გაზრდიდა თურქეთის გავლენას კუნძულზე. მოთხოვნების უარყოფის შემდეგ ანკარამ კვიპროსზე ინტერვენციის გადაწყვეტილება მიიღო.

1974 წლის 20 ივლისს თურქეთის არმია კვიპროსზე შეიჭრა (ოპერაცია „ატილა“). სამხედრო ოპერაცია ორ ეტაპად დაიყო: პირველ ეტაპზე, თურქეთის ჯარებმა კვიპროსის ტერიტორიის 3% დაიკავეს, ხოლო მეორე ეტაპზე, 1974 წლის 14 აგვისტოსთვის, ისინი ქვეყნის სრული

14 Kinosisu, 2009, 6

15 Kinosisu, 2009, 8

16 Dodd, 2010, 108

ტერიტორიის 40%-ს აკონტროლებდნენ.¹⁷ სამხედრო ოპერაციებს ასობით ადამიანი ემსხვერპლა და საკუთარ სამშობლოში დევნილად ქვეყნის სრული მოსახლეობის დაახლოებით ¼ იქცა. ოკუპირებული ჩრდილოეთ ნაწილიდან, სადაც მოსახლეობის 80%-ს ბერძნულენოვანი მოსახლეობა შეადგენდა, 140 000-დან 160 000-მდე ადამიანი გამოასახლეს (ზუსტი ციფრები დღემდე უცნობია). მათი ადგილი 60 000-მდე თურქმა კვიპროსელმა დაიკავა. ისინი კონფლიქტის საწყის ეტაპზევე ქვეყნის სამხრეთ ნაწილიდან ჩრდილოეთში ემიგრირდნენ.

აფხაზეთი

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ საქართველოს სამეფო-სამთავროების ანექსირებისთვის ბრძოლა დაიწყო. აფხაზეთის სამთავრო დიდ ხანს ეწინააღმდეგებოდა რუსეთს, თუმცა, საბოლოოდ 1864 წელს ის რუსული იმპერიის შემადგენლობაში ძალით შეიყვანეს, 1866 წელს კი რუსეთის იმპერიამ ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში „სოხუმის ოკრუგი“ შექმნა.¹⁸ რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ, იმპერიულმა ხელისუფლებამ აფხაზების წინააღმდეგ მასობრივ რეპრესიებს მიმართა, რასაც ეთნიკურად აფხაზი და აღმსარებლობით მუსლიმი მოსახლეობის ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება მოჰყვა.¹⁹

1918 წლის ოქტომბერში აფხაზეთში გადატრიალების მცდელობა იყო, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ ინიცირებული მიწის კანონპროექტით აფხაზების უკმაყოფილებამ გამოიწვია, რომელიც რუსეთმა გამოიყენა და აჯანყების მოწყობა სცადა. აღნიშნული მცდელობა, რომლის მიზანსაც რეგიონის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისგან გამოყოფა წარმოადგენდა, რუსეთის მოხალისეთა არმიის დახმარებით იყო ორგანიზებული. ქართულმა არმიამ ბოლშევიკური გადატრიალების მცდელობა ეფექტურად აღკვეთა და აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დატოვა.²⁰ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აფხაზეთი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში მოექცა.²¹ საქართველოსა და

17 Asmussen, 2008, 51-54

18 Beradze, Topuria, Khorava, 2009, 10

19 Nielsen, 2009, 175

20 Beradze, Topuria, Khorava, 2009, 12

21 Treaty Of Moscow (1920)

რუსეთს შორის საზღვარი მდინარე ფსოუსა და ახახჩას მთაზე დადგინდა. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, 1922-1931 წლებში აფხაზეთს საქართველოსთან სახელმწიფოებო საწყისების საფუძველზე რესპუბლიკის სტატუსი ჰქონდა, სადაც ყველა საკადრო, ფინანსური და ადმინისტრაციული საკითხი საქართველოს სსრ კანონმდებლობისა და ხელმძღვანელობასთან შეთანხმების საფუძველზე წყდებოდა. აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი დაფიქსირებული იყო საბჭოთა კავშირის პირველ კონსტიტუციაში (1924), რომლის მეოთხე თავის მე-15 მუხლში აღნიშნულია, რომ აფხაზეთსა და აჭარას ავტონომიური რესპუბლიკების, ხოლო სამხრეთ ოსეთს ავტონომიური ოლქის სტატუსი ჰქონდა.²² 1931 წლიდან აფხაზეთი ტრანსკავკასიურ სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში საქართველოს შემადგენლობაში არსებული ავტონომიური რესპუბლიკის სახით შევიდა. 1936 წელს ტრანსკავკასიური ფედერაცია გაუქმდა. აქედან მოყოლებული, სსრკს დამლამდე აფხაზეთი საქართველოს სსრ-ს ფარგლებში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს ატარებდა.²³

1978 წელს აფხაზეთი ასსრ-ს ეთნიკურად აფხაზმა მოსახლეობამ, რომელიც რეგიონის მაცხოვრებლების 18%-ს შეადგენდა, საქართველოს სსრ-დან გამოსვლა და საბჭოთა კავშირში ცალკე მოკავშირე რესპუბლიკად შესვლა მოითხოვა, თუმცა, ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო 140 წევრისგან შედგებოდა, რომელშიც 57 აფხაზი (40.7%) და 53 ქართველი (37.9%) იყო, ხოლო დანარჩენი ეთნიკური უმცირესობები (მათ შორის რუსები, სომხები და ა.შ) ფლობდნენ დანარჩენ 30 მანდატს (მანდატების სრული რაოდენობის 21.4%).²⁴

სსრკს ბოლო წლებში აფხაზური ნაციონალიზმი ისევ გაძლიერდა, რასაც ნაწილობრივ ხელი შეუწყო საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამლამ, რომელსაც ხშირად თან ახლდა ულტრა-ნაციონალისტური მომენტები, რაც შიშსა და საპასუხო რეაქციას იწვევდა აფხაზებში. რასაკვირველია, საბჭოთა სპეცსამსახურები ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა წამოცდენებს, შეცდომებს თუ შეგნებულ ნათქვამს აფხაზებსა და ქართველებს შორის ეთნიკური შუღლის გასაღვივებლად იყენებდნენ.

22 Gamakharia, 2009, 44

23 Nielsen, 2009, 175

24 Gamakharia, 2011, 454

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში საქართველოს მთავრობამ აფხაზ ლიდერებთან გარკვეულ შეთანხმებას მიაღწია. კერძოდ, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, აფხაზებს (რეგიონის მოსახლეობის 18%) 28 ადგილი გამოუყვეს, ქართველებს (47%) 26 და დანარჩენ მოსახლეობას (ძირითადად სომხები და რუსები 35%) – 11. უმაღლესი საბჭოს არჩევნები ახალი წესით 1991 წლის დეკემბერში გაიმართა, მაგრამ მან დაძაბულობის განმუხტვა ვერ შეძლო, საბჭოში ქართველი და აფხაზი დეპუტატები ორ ურთიერთდაპირისპირებულ ფრაქციას ქმნიდნენ.²⁵

აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყება 1992 წელს ცენტრალური ხელისუფლების მიერ სარკინიგზო ხაზების დაცვის მოტივით შეიარაღებული ძალების შეყვანას უკავშირდება. ომი დაახლოებით 13 თვეს გაგრძელდა და საბოლოოდ აფხაზეთზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის დაკარგვით დასრულდა.²⁶ მხარეებმა ცეცხლი 1994 წლის 14 მაისს მოსკოვის ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შეთანხმებით შეწყვიტეს.²⁷

თავი II - გაეროს ჩართულობა კვიპროსისა და აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარებაში

ზოგადი მიმოხილვა

კვიპროსი

კვიპროსის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პირველად 1950-იან წლებში საბერძნეთის ლობირებით გავიდა, თუმცა, იმ პერიოდში კვიპროსი გაერთიანებული სამეფოს კოლონია იყო და შესაბამისად კუნძულზე მიმდინარე მოვლენები ბრიტანეთის შიდა პოლიტიკურ საკითხებად აღიქმებოდა, ამიტომაც საბერძნეთი გაეროში კვიპროსელი ხალხის თვითგამორკვევის საკითხზე საჭირო მხარდაჭერას ვერ იღებდა.

²⁵ Gamakharia, 2011, 462

²⁶ Mooney, 1995, 200

²⁷ https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/GE_940514_AgreementCeasefireSeparationOfForces.pdf

კვიპროსის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მალევე კუნძულის ორ თემს შორის ვითარების გაუარესების შემდეგ, გაერომ 1964 წელს უშიშროების საბჭოს 186-ე რეზოლუციით, კვიპროსის სამშვიდობო მისია (UNFICYP) დააფუძნა.²⁸ 1964 წლის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით მიღებული აქვს 149 რეზოლუცია.²⁹

კონფლიქტის საწყის ეტაპზე გაერო მხარეთა შორის უმთავრეს მედიატორად მოგვევლინა. კვიპროსზე გაერო პერმანენტულად კურირებდა, როგორც უსაფრთხოებისა და პოლიტიკურ, ასევე ტექნიკურ საკითხებს. მართალია, მან ვერ უზრუნველყო მხარეებს შორის საბოლოო ყოვლისმომცველი და სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა და იმპლემენტაცია, თუმცა, ტექნიკურ საკითხებში მნიშვნელოვანი პროგრესი აშკარაა. გაერთიანებული ერების პოზიცია კვიპროსში ფუნქციონალისტურ ხედვას ასახავდა, რომლის მიხედვითაც, მხარეთა შორის ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სახის ტექნიკურ საკითხებში თანამშრომლობის გაძლიერება, სამშვიდობო მოლაპარაკებებში პროგრესის წინაპირობა იქნებოდა.³⁰

სამშვიდობო მოლაპარაკებებში კვიპროსელი ბერძნებისა და თურქების გარდა აქტიურად მონაწილეობდნენ: საბერძნეთი, თურქეთი და დიდი ბრიტანეთი, როგორც ლონდონ-ციურინის შეთანხმების გარანტორი სახელმწიფოები. შესაბამისად, კვიპროსის საკითხის გადაწყვეტა ყველა ჩართული მხარის თანხმობას მოითხოვდა.

ყოვლისმომცველი პოლიტიკური გადაწყვეტა:

პრობლემის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოგვარებისთვის, საწყის ეტაპზე, მნიშვნელოვანი იყო მხარეთა შორის ნდობის აღდგენა და კვიპროსის სამომავლო პოლიტიკური მოწყობის მოდელზე ზოგადი შეთანხმების მიღწევა. ამ კუთხით პირველი მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები 1975 წლის 28 აპრილიდან 1976 წლის 21 თებერვლამდე, ვენაში გაიმართა³¹, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ, რომ ახალი სახელმწიფო დამოუკიდებელი, დემილიტარიზებული და მიუმხრობელი უნდა ყოფილიყო. მოლაპარაკებებში გარდამტეხი მომენტი 1977-79 წლებში მიღწეული შეთანხმება აღმოჩნდა, რომლის

28 https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/CY_640304_SCR186.pdf

29 <https://www.un.org/securitycouncil/content/resolutions-0>

30 Bolukbasi, 1998, 431

31 [https://www.pio.gov.cy/en/agreements-the-third-vienna-agreement-\(2-august-1975\).html](https://www.pio.gov.cy/en/agreements-the-third-vienna-agreement-(2-august-1975).html)

მიხედვითაც ერთიანი კვიპროსი პოლიტიკური თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული ბიზონალური და ბიკომუნალური (Bizonal and Bicomunal Federacion based on political equality) ფედერაცია იქნებოდა.³² მიუხედავად მსგავსი შეთანხმებისა, წლების მანძილზე მხარეებს ბიზონალური და ბიკომუნალური ფედერაციის იდეა განსხვავებულად ესმოდათ. 1977 წელს მათ ერთმანეთს იმ ძირითადი პრინციპებისა და კომპეტენციების ჩამონათვალი გადასცეს, რომელიც, მხარეთა აზრით, ფედერალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა გადაენაწილებინა, მაგრამ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. ბერძნულ თემს მიაჩნდა, რომ თურქული თემის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი არა ფედერაციული, არამედ კონფედერაციული მოწყობის მოდელი იყო, რაც შეეხება ბერძნული თემის მიერ წამოყენებულ შეთავაზებებს, პირიქით; თურქული თემი მას ფედერალურის ნაცვლად უნიტარული მოწყობის მოდელად მიიჩნევდა.³³

1977-79 წლების მოლაპარაკებების შემდგომ გაეროს გენერალურმა მდივანმა-ხავერპერმა დეკუელარმა (1982-1991) მხარეებს შეთანხმების პროექტი³⁴ შესთავაზა, რომლის მიხედვითაც გაერთიანებული კვიპროსი იქნებოდა ფედერაციული რესპუბლიკა, ორი დამოუკიდებელი ადმინისტრაციით, რომელთაც პოლიტიკის გარკვეულ საკითხებში მნიშვნელოვანი კომპეტენციები მიენიჭებოდათ. პროექტის მიხედვით, არაკვიპროსული სამხედრო ძალები ქვეყნის ტერიტორიიდან უნდა გასულიყვნენ. აღდგებოდა 1960 წლის კონსტიტუცია და საგარანტიო ხელშეკრულება. რაც შეეხება პოლიტიკურ განაწილებას, თურქული თემი მიიღებდა კუნძულის ტერიტორიის 29%-ს, ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას და 3 პორტფელს მინისტრთა საბჭოში.³⁵

შეთანხმების პროექტი მხარეთა განსხვავებული ინტერესების გამო ჩავარდა, თუმცა, პროცესი გაგრძელდა და 1990 წელს გენერალურმა მდივანმა გაეროს მედიაციის ფარგლებში ბერძნულ და თურქულ თემს შორის მაღალი დონის პოლიტიკურ შეხვედრას ნიუ-იორკში უმასპინძლა, რომელმაც ე.წ. „იდეების ნაკრების“ (Set of Ideas) შემუშავებას დაუდო სათავე.³⁶ იდეების ნაკრები ითვალისწინებდა, რომ კვიპროსი გადაეწყობოდა მმართველობის ფედერალურ მოდელზე, რომელსაც ერთი ცენტრალური ხელისუფლება ეყოლებოდა, თუმცა,

32 S/13369

33 S/12323

34 <http://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/Cyprus%20SRES%20585.pdf>

35 S/18102

36 Security Council Resolution 716

იარსებებდა ორი განსხვავებული ფედერალური სუბიექტი. მასში ორივე თემს ექნებოდა გავლენა პოლიტიკის სხვადასხვა სფეროზე. საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატაში დეპუტატების განაწილება უნდა ყოფილიყო 70%-30%-ზე ბერძნული თემის სასარგებლოდ, ზედა პალატაში კი წარმომადგენლობითობა იქნებოდა თანაბარი (50/50-ზე). შეთანხმებით, კვიპროსი იქნებოდა საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ვიცე-პრეზიდენტის პოსტს აუცილებლად დაიკავებდა თურქი კვიპროსელი.³⁷ მხარეები ტერიტორიული ცვლილებისა და დევნილთა დაბრუნების საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ, რადგან თურქული თემი საკუთარი ტერიტორიის 28.2%-მდე შემცირებას არ დათანხმდა.

„იდეების ნაკრები“ მარცხისთვის იყო განწირული, რადგან კვიპროსზე 1993 წელს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა გლავკოს კლერიდესმა, რომელიც წინამორბედის, გიორგოს ვასილიუსგან, განსხვავებით კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით იმ დროს უფრო ხისტი პოზიციით გამოირჩეოდა.

კვიპროსის საკითხი ყოვლისმომცველ და სიცოცხლისუნარიან პოლიტიკურ გადაწყვეტასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან პროგრესს გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მიაღწია. მისი უშუალო ჩართულობით 1999-2000 წლებში მხარეებს შორის მოლაპარაკებების 5 რაუნდი შედგა. ამ პერიოდის მანძილზე ბერძნული და თურქული თემის ლიდერები ერთმანეთს 22-ჯერ შეხვდნენ.³⁸ 2000 წლის 11 ნოემბერს ანანმა ყოვლისმომცველი პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის 150 გვერდიანი გეგმა წარმოადგინა, რომლის მიხედვით, ძალაში რჩებოდა 1960 წლის კონსტიტუცია, კვიპროსი უნდა ყოფილიყო მიუმხრობელი სახელმწიფო, გაერთიანებული კვიპროსის ტერიტორიული სტრუქტურა დაფუძნდებოდა ბელგიურ მოდელზე, რაც გულისხმობდა ერთიანი, ფედერაციული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, პოლიტიკური თანასწორობის პრინციპზე დამყარებული ორი ფედერაციული სუბიექტით. კვიპროსზე იარსებებდა ორი სახის მოქალაქეობა - როგორც ერთიანი, ასევე კონკრეტულად ფედერაციული სუბიექტის. თურქული ადმინისტრაციის ტერიტორია მცირდებოდა 37%-დან 28%-მდე, რაც იძულებით გადაადგილებულ პირთა დაახლოებით ნახევარს საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობას აძლევდა. იმ შემთხვევაში, თუ მათი კერძო საკუთრება ამ დროისათვის განადგურებული იქნებოდა,

37 S/23870

38 Lindsay, 2005, 32

მათ მიყენებული ზარალი აუნაზღაურდებოდათ.³⁹

საკანონმდებლო ხელისუფლებას რაც შეეხება, კვიპროსის საკანონმდებლო ორგანო ორპალატიანი უნდა ყოფილიყო. სენატში უზრუნველყოფილი იქნებოდა თანაბარი წარმომადგენლობა - ორივე თემიდან უნდა არჩეულიყო 24-24 წევრი. ხოლო წარმომადგენელთა პალატაში მანდატების რაოდენობა არჩევნების პროპორციულად განაწილდებოდა, თუმცა, იმ დათქმით, რომ ორივე ფედერაციული სუბიექტი მასში მინიმუმ მანდატების 25%-ით იქნებოდა წარმოდგენილი. ორივე პალატაში გადაწყვეტილების მიღების პროცესი მარტივი უმრავლესობის პრინციპს უნდა დაფუძნებოდა.

აღმასრულებელი ხელისუფლება 6 წევრისგან შემდგარი საპრეზიდენტო საბჭოს ხელში გადადიოდა, თითოეული თემი საბჭოში მინიმუმ 2 წევრით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. პროექტი ითვალისწინებდა პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის ყოველ 10 თვეში როტაციული პრინციპით ცვლილებას.⁴⁰

ანანის გეგმა მიზნად თურქული და ბერძნული თემის ინტერესებს შორის კომპრომისული ვარიანტის შემუშავებას ისახავდა, თუმცა, გეგმის პირველი ვარიანტით ეს ვერ მოხერხდა. ბერძნული თემიდან უკმაყოფილება, უპირველეს ყოვლისა კირენიიდან დევნილებმა გამოთქვეს, რადგან გეგმის იმპლემენტაციის შემთხვევაში ისინი საკუთარ სახლებს ვერ უბრუნდებოდნენ. თურქული თემი გეგმას მოწონებით შეხვდა, მაგრამ რამდენიმე პრობლემური საკითხი გამოიკვეთა, მაგალითად, 1974 წლის თურქული ოკუპაციის შემდეგ ჩრდილოეთ კვიპროსში ანატოლიიდან ჩამოსულ თურქებს - ე.წ. settlers - ბერძნული თემის მოქალაქეებისთვის არ სურდათ იმ კერძო საკუთრების დათმობა, რომელიც მათი წასვლის შემდეგ დაისაკუთრეს. ანატოლიიდან ჩამოსახლებული თურქების საკითხი უთანხმოებას 2 ძირითადი მიზეზის გამო იწვევდა: 1. მათ მიერ დაკავებული კერძო საკუთრება და 2. “სეთლერების” რაოდენობა, რომელთაც გაერთიანების შემდეგ კვიპროსის მოქალაქეობა უნდა მინიჭებოდათ. შედეგად, გაეროს გენერალურმა მდივანმა გეგმის ცვლილებაზე მუშაობა დაიწყო. თურქულ თემში გეგმის მომხრეები უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე მოწინააღმდეგეები, რადგან ტერიტორიული დანაკარგის მიუხედავად, კუნძულის გაერთიანება მათ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა, ათწლეულების მანძილზე იზოლაციაში მოქცეულ

39 Lindsay, 2005, 38

40 Lindsay, 2005, 39

ეკონომიკას ინვესტიციებისთვის განსნიდა.

2003 წლის 10 დეკემბერს, გენერალურმა მდივანმა მხარეებს გეგმის მეორე ვარიანტი შესთავაზა, რომელშიც ფუნდამენტური ცვლილებები არ შესულა. ცვლილება შეეხო შემდეგ საკითხებს: 85 ათასიდან 90 ათასამდე გაიზარდა იმ ბერძენი კვიპროსელების რაოდენობა, რომლებიც საკუთარ სახლებს უნდა დაბრუნებოდნენ; კარპასიის ნახევარკუნძულზე შეიქმნებოდა ბერძნულ კვიპროსული კანტონი; თურქულ ფედერალურ სუბიექტში მცხოვრები ბერძენი კვიპროსელების რაოდენობა 33.33%-დან 28%-მდე შემცირდებოდა, თუმცა, ბერძენი კვიპროსელების დაბრუნების ვადა 20-დან 15 წლამდე შემცირდა. უსაფრთხოების გამოწვევებიდან გამომდინარე, კუნძულზე ბერძნული და თურქული ჯარების დასაშვები რაოდენობა 2500-7500 ჯარისკაცის ფარგლებში განისაზღვრა. ანატოლიიდან ჩამოსახლებული თურქების რაოდენობა, რომელთაც კუნძულზე დარჩენა შეეძლოთ, 60 000-დან 50 000-მდე შემცირდა. გეგმის აღნიშნულ ვარიანტზე შეთანხმება ძირითადად დენკტაშის წინააღმდეგობის გამო ვერ მოხერხდა.

გეგმის ჩავარდნის შემდეგ დენკტაშზე გაერთიანების მომხრე თურქული თემის მხრიდან წნეხი გაიზარდა, მას ნიქოზიაში რეუნიფიკაციის მხარდამჭერმა თურქულმა მოსახლეობამ 70 ათასიანი დემონსტრაცია მოუწყო, რაც ჩრდილოეთ კვიპროსის სრული მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენდა. სამშვიდობო პროცესს გარკვეულწილად ხელი შეუშალა კვიპროსში ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმაც, რომელზეც კვიპროსის გაერთიანების საკითხზე უფრო ნისტი ნაციონალისტური პოზიციის მქონე ტასოს პაპადოპულოსმა ხმების 51.5%-ით გაიმარჯვა.

ანანის გეგმის მესამე მოდიფიკაციის მიხედვით, გაერთიანებიდან 15 წლის შემდეგ თურქულ ფედერალურ ერთეულში ბერძენი კვიპროსელების დასაშვები რაოდენობა 28%-დან 21%-მდე შემცირდებოდა; კარპასიის ნახევარკუნძული რჩებოდა თურქული ადმინისტრაციის ქვეშ, თუმცა, მასში შემავალ ოთხივე სოფელში ბერძენი კვიპროსელები დაბრუნების უფლებას იღებდნენ. თურქულ-კვიპროსული ადმინისტრაციის ტერიტორია მცირდებოდა 29.2%-მდე, ხოლო ბერძნულ-კვიპროსული იზრდებოდა 70.8%-მდე. უსაფრთხოების საკითხების უზრუნველსაყოფად, კუნძულზე საბერძნეთის რესპუბლიკის და თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო კონტიგენტის რაოდენობა 6000 ადამიანით განისაზღვრა. ბერძენი კვიპროსელების აზრით, ამგვარი გეგმა თურქი კვიპროსელების ინტერესებში შედიოდა და ხელს უშლიდა

გაერთიანების შესაძლებლობას.⁴¹

ანანის მეოთხე გეგმის მიხედვით,⁴² კუნძულზე დარჩენის უფლება მიეცა ანატოლიიდან გადმოსახლებულ ყველა settler-ს. ტერიტორიის შემადგენლობა იგივე დარჩა (29-71%). დანარჩენი საკითხები უცვლელი რჩებოდა. ბერძნული თემი გეგმის ამ მოდიფიკაციის წინააღმდეგი იყო. მათი აზრით, გეგმა კუნძულზე ძალთა ბალანსს თურქული თემის სასარგებლოდ ცვლიდა.⁴³

ბოლო, მეხუთე გეგმის მიხედვით,⁴⁴ გაერთიანებიდან პირველი 15 წელი კერძო საკუთრების შექმნაზე იარსებებდა გარკვეული შეზღუდვები, სანამ თურქული ადმინისტრაცია ეკონომიკური განვითარებით ბერძნულ თემს დაეწეოდა და მისი მშპ-ს 85%-ს გაუტოლდებოდა. საკონსტიტუციო და სახელმწიფო მოწყობის საკითხებში, აღმასრულებელი საპრეზიდენტო საბჭოს რაოდენობა გაიზარდა 9 წევრამდე შემდგომი გაზრდის პერსპექტივით. პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი როტაციული წესით ერთმანეთს ყოველ ოც თვეში ერთხელ შეცვლიდნენ. ანანის შემოთავაზების ეს უკანასკნელი ვარიანტი 2004 წელს რეფერენდუმზე გავიდა, რომელზეც კუნძულის გეგმის მიხედვით გაერთიანებას თურქული თემის ამომრჩეველთა 65%-მა მხარი დაუჭირა, თუმცა, ბერძნული თემის 77%-მა ის უარყო.

კუნძულის გაერთიანების თაობაზე ჩატარებული რეფერენდუმის ბერძნულ ნაწილში ჩავარდნის შემდეგ გაერო ოფიციალურ დოკუმენტებში აშკარა იმედგაცრუებას გამოხატავს. უშიშროების საბჭოსადმი გენერალური მდივნის მიერ გაკეთებულ მოხსენებებში აღნიშნულია, რომ კონფლიქტის მოგვარებისათვის უმთავრესი ორივე თემის პოლიტიკური ნებაა საჭირო. მიუხედავად ამისა, გაერო კვლავაც განაგრძობდა მხარეებს შორის მედიაციას.

რეფერენდუმის შემდგომი მდგომარეობა

კოფი ანანის გეგმის ჩავარდნის შემდეგ კუნძულის გაერთიანების თემა დროებით დაიხურა, თუმცა, კვიპროსზე ბერძნული და თურქული თემი პერიოდულად ერთმანეთს გარკვეულ წინადადებებს სთავაზობდა, მაგრამ მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა 2006 წლამდე ვერ ხერხდებოდა. 2006 წლის 8 ივლისს მხარეებმა ხუთპუნქტიანი

41 Lindsay, 2005, 56

42 Lindsay, 2005, 99

43 Lindsay, 2005, 99-100

44 Lindsay, 2005, 165-173

შეთანხმება მიიღეს: 1. ვალდებულება კვიპროსის ბიზონალურ და ბიკომუნალურ ფედერაციად გაერთიანებაზე, 2. არსებული სტატუს-კვოს მიუღებლობა, 3. იმის მიღება, რომ ყოვლისმომცველი მოგვარება სასურველი და შესაძლებელია და ის არ უნდა შეყოვნდეს, 4. შეთანხმება იმ თემების განხილვაზე, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ამავდროულად, მთავარ საკითხებზეც ახდენს გავლენას და 5. ნდობის აღდგენის ღონისძიებების განვითარება და ურთიერთბრალდებების დასრულება.⁴⁵

კოფი ანანის გეგმის რეფერენდუმზე ჩავარდნის შემდეგ, კუნძულის გაერთიანებაზე მოლაპარაკებების მუშაობა დიდი ენთუზიაზმით 2008 წელს დაიწყო. როდესაც კვიპროსის პრეზიდენტი დიმიტრის ქრისტოფიასი გახდა, მან თავის საინაუგურაციო მიმართვაში იმედი გამოთქვა, რომ ფედერალური, ბიკომუნალური და ბიზონალური რესპუბლიკის საფუძველზე სიცოცხლისუნარიანი გამოსავლის პოვნა შესაძლებელი იქნებოდა.⁴⁶ ამ პერიოდში თურქული თემის ლიდერი მეჰმეთ ალი ტალატი იყო, რომელიც კვიპროსის ახლადარჩეული პრეზიდენტის გამოსვლას სწრაფადვე გამოეხმაურა და გამოაცხადა, რომ კვიპროსის საკითხის მოგვარება 2008 წლის ბოლომდე იყო შესაძლებელი.⁴⁷

ქრისტოფიას-ტალატის ხანგრძლივმა ნაცნობობამ და იდეოლოგიურმა მსგავსებამ გაეროს მედიაციით მოლაპარაკებების სწრაფად დაწყებას შეუწყო ხელი, თუმცა, მხარეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა მალევე გამოიკვეთა. თურქული თემის ლიდერს მოლაპარაკებების გამართვა კოფი ანანის გეგმის საფუძველზე სურდა, რასაც ბერძენ კვიპროსელთა მხარე ეწინააღმდეგებოდა, გამომდინარე იქედან, რომ გეგმა მათ ამომრჩეველში არაპოპულარული იყო. განსხვავდებოდა 2008 წლის რეალობაც, 4 წლის წინანდელი პერიოდისგან განსხვავებით კვიპროსი ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფო იყო, მის სამხრეთ ნაწილში კი ცხოვრების დონე ჩრდილოეთს მნიშვნელოვნად აღემატებოდა, ამას გარდა, სამხრეთში მცხოვრები კვიპროსელები ევროპის კავშირის წევრობით დამატებით სარგებელს იღებდნენ, ჩრდილოეთი კი ბლოკადაში იყო მოქცეული. 4 წლის წინანდელი ვითარებისგან განსხვავებით, 2008 წელს კვიპროსელ ბერძნებს სურდათ, რომ პროცესიდან გაერო დისტანცირებული ყოფილიყო და ახალი მოლაპარაკებები 2006 წლის შეთანხმების პრინციპებზე

45 Dodd, 2010, 260

46 Morelli, 2019, 3-4

47 Morelli, 2019, 4

დაეფუძნებინათ.⁴⁸

გაეროს შუამავლობით მოლაპარაკებები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა, 18 თვის განმავლობაში მხარეებმა 60-მდე შეხვედრა გამართეს, მიუხედავად ამისა, ტექნიკური საკითხების გარდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ.

ქრისტოფიას-ტალატის მოლაპარაკებების შედეგად 2008 წელს შეიქმნა 7 ტექნიკური კომიტეტი და 6 სამუშაო ჯგუფი, ისინი მუშაობდნენ შემდეგ საკითხებზე: ტექნიკური კომიტეტები - დანაშაულებრივი საქმეები, ეკონომიკა, კულტურული მემკვიდრეობა, კრიზისების მართვა, ჰუმანიტარული საკითხები, ჯანდაცვა და გარემოს დაცვა,⁴⁹ სამუშაო ჯგუფები - მმართველობა, ევროპის კავშირის საკითხები, უსაფრთხოება, ტერიტორია, საკუთრება და ეკონომიკური საკითხები. დროთა განმავლობაში ტექნიკური კომიტეტების რაოდენობა კულტურაზე, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, განათლებაზე, გენდერულ საკითხებზე, ტელეკომუნიკაციასა და მაუწყებლობაზე მომუშავე ჯგუფებით 12-მდე შეივსო.

კვიპროსის პრობლემის ყოვლისმომცველ გადაწყვეტაზე გაეროს შუამავლობით მოლაპარაკებების უკანასკნელი მცდელობა 2016 წელს შვეიცარიის ქალაქ მონტ-პელერინში დაიწყო. ამ დროს ბერძნულ და თურქულ თემებს რეუნიფიკაციის მომხრე ლიდერები ნიკოს ანასტასიადისი და მუსტაფა აკინჯი წარმოადგენენ. კონფერენციაზე მხარეთა შორის უთანხმოების მთავარი მიზეზი ტერიტორიის განაწილება გახდა. თურქული თემის ლიდერი მუსტაფა აკინჯი უსაფრთხოებაზე გარანტიების გარეშე ტერიტორიულ ცვლილებებს ეწინააღმდეგებოდა, კვიპროსის პრეზიდენტი ნიკოს ანასტასიადისი კი აცხადებდა, რომ უსაფრთხოებაზე გარანტიების განხილვამდე, ტერიტორიასთან დაკავშირებული საკითხები უნდა მოგვარებულიყო.⁵⁰

მოლაპარაკებები 2017 წელს ჟენევაში გაგრძელდა, რომელზეც ანკარამ კვიპროსელი ბერძნების ტერიტორიული პრეტენზიები უარყო და მოითხოვა, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით თურქეთის რესპუბლიკის როლი შენარჩუნებულიყო, რაც ოფიციალურმა ათენმა არ მიიღო.⁵¹ ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებების შემდეგ მხარეები იმავუ წლის ივნისში ერთმანეთს კრანს-მონტანაში შეხვდნენ, სადაც

48 Dodd, 2010, 263

49 S/2008/353

50 Morelli, 2019, 16

51 Morelli, 2019, 18

მოლაპარაკებების 2 მაგიდა შეიქმნა. პირველ მაგიდაზე ბერძნულ-თურქული თემის ლიდერები ნიკოს ანასტასიადისი და მუსტაფა აკინჯი, ტერიტორიასთან, საკუთრებასთან და მმართველობასა და ძალაუფლების დანაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდნენ. მოლაპარაკებათა მეორე მაგიდასთან აკინჯისა და ანასტასიადისთან ერთად საბერძნეთის რესპუბლიკა, თურქეთის რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთი და დამკვირვებლის სტატუსით ევროპის კავშირი უსაფრთხოებისა და გარანტიების თემებზე მუშაობდნენ.⁵²

კრანს-მონტანას მოლაპარაკებებისას გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერეშმა მხარეებს 6 პუნქტიანი გეგმა წარუდგინა, რომელიც უსაფრთხოებას, შეიარაღებულ ძალებს, ტერიტორიას, პოლიტიკურ თანასწორობას, ძალაუფლების გადანაწილებასა და საკუთრებას ეხებოდა, მაგრამ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

ზოგადი მიმოხილვა

აფხაზეთი

აფხაზეთის კონფლიქტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღის წესრიგში ჯერ კიდევ მაშინ მოექცა, როდესაც რეგიონში საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა. 1992 წლის 10 სექტემბერს გაეროს უშიშროების საბჭოს პრეზიდენტის განცხადებაში აღნიშნულია, რომ უშიშროების საბჭოს წევრები კმაყოფილებას გამოთქვამენ 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში რუსეთს, საქართველოსა და აფხაზურ მხარეს შორის გაფორმებული შეთანხმების გამო.⁵³ განცხადებაში ხაზგასმულია კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის აუცილებლობა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა.

აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს სულ მიღებული აქვს 37 რეზოლუცია.⁵⁴ პირველი ასეთი დოკუმენტი 1993 წლის 9 ივლისით თარიღდება და მასში ცეცხლის შეწყვეტის იმპლემენტაციისა და სამშვიდობო პროცესებში გაეროს ეფექტური ჩართულობისათვის სამხედრო სადამკვირვებლო მისიის შექმნის საჭიროებაზეა ყურადღება გამახვილებული.⁵⁵ უკვე მომდევნო, 1993

52 Morelli, 2019, 17

53 S/24542

54 <https://www.un.org/securitycouncil/content/resolutions-0>

55 S/RES/849

წლის 24 აგვისტოს, რეზოლუციით კი „საქართველოში გაერთიანებული ერების სადამკვირვებლო მისიის“ - UNOMIG - 3 თვიანი ვადით დაფუძნება გადაწყდა.⁵⁶ „საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისია“ 1994 წლის 31 იანვარს, უშიშროების საბჭოს 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით, აფხაზეთში უსაფრთხოების მხრივ არსებული გაურკვეველი მდგომარეობის გამო დროებით შეჩერდა, ის მოგვიანებით ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გაფორმების შემდეგ უშიშროების საბჭოს 1994 წლის 27 ივლისის რეზოლუციით აღდგა.⁵⁷

გაეროს გენერალური მდივნის 1994 წლის 12 ივლისის მოხსენებაში დეტალურადაა აღწერილი სადამკვირვებლო მისიის ამოცანები⁵⁸, ესენია: ა) დააკვირდეს და შეამოწმოს [1994 წლის 14 მაისის] შეთანხმების იმპლემენტაციას, ბ) შეთანხმების შესაბამისად დააკვირდეს დსთ-ს (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) სამშვიდობო მისიის ოპერაციებს აფხაზეთში, გ) დაკვირვებისა და პატრულირების გზით შეამოწმოს, რომ უსაფრთხო ზონა თავისუფალია შეიარაღებული ძალებისგან და შეზღუდული შეიარაღების ზონა კი მძიმე ტექნიკისგან, დ) უსაფრთხო და შეზღუდული შეიარაღების ზონებში შეამოწმოს მძიმე შეიარაღების საწყობები, ე) კოდორის ხეობიდან საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გამოსვლაზე დაკვირვება, ვ) კოდორის ხეობაში რეგულარული პატრულირება, ზ) მხარეების, ან დსთ-ს სამშვიდობო ძალების მოთხოვნით, ან საკუთარი ინიციატივით გამოიძიოს შეთანხმების დარღვევის, ან შესაძლო დარღვევის შემთხვევები და ეცადოს მსგავსი ინციდენტების მოგვარებას. უშიშროების საბჭოს 1994 წლის 21 ივლისის რეზოლუციაში სადამკვირვებლო მისიის ამოცანებს ემატება კიდევ ორი კომპონენტი: 1) სხვა რელევანტურ საკითხებთან ერთად, თავისი მანდატის ფარგლებში, რეგულარულად შეატყობინოს გენერალურ მდივანს შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხები, ინფორმაცია მისი დარღვევის ფაქტებსა და მისიის გამოძიების შესახებ და 2) შეინარჩუნოს ახლო კონტაქტები კონფლიქტის ორივე მხარესთან და ითანამშრომლოს დსთ-ს სამშვიდობო ძალებთან, მონაწილეობა მიიღოს დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნებისათვის საჭირო გარემოს შესაქმნელად.⁵⁹

საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისია 2009 წლამდე

56 S/RES/854

57 S/RES/881

58 S/1994/818

59 S/RES/937

ფუნქციონირებდა, 2008 წლის ომის შემდეგ, 26 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა და 2009 წლის 15 ივნისს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელსაც სადამკვირვებლო მისიის ვადა უნდა გაეხანგრძლივებინა, ვეტო დაადო.

გაეროს ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის ფედერაცია წარმოდგენილია, როგორც მხარეთა შორის მოლაპარაკებათა ფასილიტატორი. კვიპროსისგან განსხვავებით აფხაზეთის შემთხვევაში გაერო არ წარმოადგენს მთავარ მედიატორს. მათ გარდა, აფხაზეთის საკითხზე მოლაპარაკებების პროცესში 1997 წლის შემდეგ ჩართული არიან გაეროს გენერალური მდივნის მეგობარ სახელმწიფოთა ჯგუფი: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და რუსეთის ფედერაცია.

ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოგვარება

კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოგვარებისთვის, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა იყო საჭირო. გაერო და მთელი საერთაშორისო საზოგადოება ერთხმად აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა, ამავდროულად აცხადებდა, რომ თბილისს სოხუმისთვის ფართო ავტონომია უნდა მიეცა.

1994 წლის 26 ნოემბერს დე-ფაქტო აფხაზეთმა კონსტიტუცია მიიღო, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ აფხაზეთი „სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოა“.⁶⁰ იმავე დღეს აფხაზეთის დე-ფაქტო საკანონმდებლო ორგანომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მიუხედავად კონსტიტუციის მიღებისა, აფხაზეთი საქართველოსთან მოლაპარაკებების პროცესს არ წყვეტს და მზადაა განიხილოს ორი თანაბარუფლებიანი სუბიექტის მიერ საერთო სახელმწიფოს შექმნის საკითხი.⁶¹ გაეროს უშიშროების საბჭოს 1994 წლის 2 დეკემბრის საპრეზიდენტო განცხადებაში აღნიშნულია, რომ გაერო აფხაზეთის მიერ ცალმხრივად მიღებულ გადაწყვეტილებას გმობს და კიდევ ერთხელ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. უშიშროების საბჭოს პოზიცია იყო, რომ ნებისმიერი უნილატერალური გადაწყვეტილება თუ მოქმედება, რომელიც

60 The Constitution Of Abkhazia, 1994, Article 1

61 S/1995/1160

სუვერენული აფხაზური წარმონაქმნის დაარსებას გულისხმობდა, კონფლიქტის ეფექტურ გადაჭრას და სამშვიდობო პროცესში პროგრესის მიღწევას უშლიდა ხელს. უშიშროების საბჭო მოუწოდებდა მხარეებს, განსაკუთრებით კი აფხაზურ მხარეს, გადაედგათ შესაბამისი ნაბიჯები, რათა გაეროს ქოლგის ქვეშ, რუსეთის ფედერაციის, როგორც სამშვიდობო მოლაპარაკებების ფასილიტატორისა და ეუთო-ს (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის, CSCE) დახმარებით სამშვიდობო მოლაპარაკებებში მიღწეული ყოფილიყო საკმარისი პროგრესი. გარდა ამისა, უშიშროების საბჭო კიდევ ერთხელ ადასტურებდა იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხოდ დაბრუნების უფლებას.⁶²

1997 წლიდან გაერო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში გაცილებით უფრო აქტიურად ერთვება, რაც საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის პირველი რეზიდენტი სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნაში, ქენევის ფორმატის რეორგანიზაციასა და ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს შექმნაში გამოიხატა. საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში 3 სამუშაო ჯგუფი ფუნქციონირებდა, რომლებიც პოლიტიკური და უსაფრთხოების, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხებზე მუშაობდნენ. ქართულ-აფხაზური მხარეების გარდა, შეხვედრების ამ ფორმატში მონაწილეობას იღებდნენ გაეროს გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყანათა ჯგუფის წარმომადგენლები, ასევე დსთ-ს სამშვიდობო მისიის ხელმძღვანელი და გაეროს მთავარი სამხედრო დამკვირვებელი. საკოორდინაციო საბჭომ არსებობის მანძილზე 12 სესია გამართა, 2001 წელს მე-13 სესიის წინ, აფხაზურმა მხარემ მასში მონაწილეობაზე გულრიფშის რაიონში მომხდარი ინციდენტის გამო უარი თქვა.⁶³

აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა გაეროს უშუალო ჩართულობით, დიალოგის გზაზე პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი 1998 წელს გადადგეს, როდესაც ათენში ნდობის აღდგენის ღონისძიებების ფარგლებში ფართო წარმომადგენლობითი შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა ხელშესახებ პროგრესს 1999 წელს ნდობის აღდგენის ღონისძიებების ფარგლებში გამართულ მეორე შეხვედრაზეც მიაღწიეს, რომელიც სტამბულში ჩატარდა. თურქეთში შემდეგ საკითხებზე შეთანხმდნენ: ა) ერთი კვირის განმავლობაში ტყვეებისა და დაკავებული პირების გაცვლის თაობაზე შეხვედრის გამართვა, ბ) გაეროს

62 S/PRST/1994/78

63 S/2001/713

სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან ერთად კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დესტაბილიზაციის გამომწვევი ინციდენტების ერთობლივი გამოძიება, გ) საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში სამუშაო ჯგუფების აქტივობის აღდგენა, სტამბულის სამიტიდან ერთი კვირის განმავლობაში სამივე ჯგუფის შეხვედრის მოწვევა, დ) 1998 წლის 24 სექტემბრის პროტოკოლის იმპლემენტაციისათვის ხელშეწყობა, პროტოკოლი გამყოფი ხაზის გასწვრივ სიტუაციის სტაბილიზაციას ეხება, ე) ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობის განვითარება, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში, ვ) ორმხარეს შორის პოლიტიკური პირების შეხვედრების ორგანიზება, ზ) ინფორმაციის რეგულარულად მიმოცვლისთვის მექანიზმების შემუშავება და გაუმჯობესება, რაც მოიცავს თანამშრომლობას მასმედიის სფეროში, თ) ინფორმაციის მიმოცვლა და კონსულტაციები სამართალდამცავ ორგანოებთან უკანონო აქტების პრევენციის მიზნით, ი) საომარი მოქმედებებისა და კარგულ პირთა მოძიების კომისიის წარმომადგენლების შეხვედრის მოწყობა ერთი თვის ვადაში.⁶⁴

ნდობის აღდგენის ღონისძიებების ფარგლებში უკანასკნელი შეხვედრა 2001 წელს იალტაში გაიმართა. მოლაპარაკებების შედეგად მომზადდა სამი დოკუმენტი: 1) მხარეების განცხადება; 2) „ქართულ-აფხაზური მხარეების იალტის დეკლარაცია“, სადაც მხარეები გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს სთხოვდნენ, რომ მას გაეროსთვის, მეგობართა ჯგუფის ქვეყნებისთვის, ეუთოსა და დსთ-სთვის მიემართა, რომ ძალადობის განუახლებლობის, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნების გარანტი ყოფილიყო, თუმცა, მასზე ხელი არავის მოუწერია⁶⁵ და 3) „ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენის სამოქმედო პროგრამა“, რომელშიც 15 ღონისძიება იყო გაწერილი და ეხებოდა შემდეგ საკითხებს: მხარეთა ახალგაზრდა წარმომადგენლებს შორის შეხვედრების ორგანიზება, მხარეთა სხვადასხვა პოლიტიკური წრეების შეხვედრების დაგეგმვა, მხარეებს შორის ომის ვეტერანებსა და შშმ პირების ორგანიზაციათა თანამშრომლობის მხარდაჭერა, თბილისისა და სოხუმის ბიბლიოთეკების დირექტორებს შორის კონტაქტების მხარდაჭერა და ა.შ.⁶⁶ აღნიშნული ღონისძიებების იმპლემენტაციაზე ანგარიშის წარსადგენად საკოორდინაციო საბჭოს ფორმატში სპეციალური მექანიზმი უნდა შექმნილიყო. იალტის მოლაპარაკებებზე მიღწეული პროგრესი რეალობაში ვერ აისახა, ერთი წლის შემდეგ

64 S/1999/805

65 S/2001/242

66 S/2001/242

ქართულ-აფხაზურმა საკოორდინაციო საბჭომ კი მუშაობა საერთოდ შეწყვიტა.

2002 წლის მარტში საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, დიტერ ბოდენის, უშუალო ჩართულობით „თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციების განაწილების პრინციპების შესახებ“ ჩარჩო შეთანხმება (The Principles For Division Of Competences Between Tbilisi And Sukhumi) შემუშავდა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ადასტურებდა.⁶⁷ დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში მყოფი სუვერენული წარმონაქმნია.⁶⁸ თბილისისა და სოხუმის კომპეტენციები ფედერალური შეთანხმებით და კონსტიტუციით უნდა განსაზღვრულიყო, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო იქნებოდა და მის შეცვლას ორივე მხარის თანხმობა დასჭრიდებოდა.⁶⁹ შეთანხმების მეოთხე პუნქტის მიხედვით, აფხაზეთის კომპეტენციები არ იქნებოდა იმაზე ნაკლები, ვიდრე ეს შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებამდე, 1992 წელს იყო.⁷⁰ აფხაზეთის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები შესაძლოა დაფუძნებოდა 1994 წლის 26 ნოემბრის აფხაზეთის კონსტიტუციას, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში უნდა შეცვლილიყო ფედერალური შეთანხმების პრინციპების დასაცავად.⁷¹ საქართველოს კონსტიტუციას უნდა დაეცვა საქართველოს მოქალაქეთა უფლებები და უნდა გამოერიცხა ეთნიკური უმცირესობის ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. გარანტირებული უნდა ყოფილიყო იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხოდ დაბრუნების უფლება.⁷² საკონსტიტუციო სასამართლოს ზომა და შემადგენლობა შეთანხმებული იქნებოდა თბილისსა და სოხუმს შორის საქართველოს კონსტიტუციის, აფხაზეთის კონსტიტუციისა და თბილისსა და სოხუმს შორის გაფორმებული ფედერალური შეთანხმების საფუძველზე.⁷³ ეს ჩარჩო შეთანხმება თბილისსა და სოხუმს შორის ყოვლისმომცველ პოლიტიკურ მოგვარებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყების საფუძველი უნდა ყოფილიყო, თუმცა, აფხაზურმა მხარემ ის არ მიიღო. გაეროს გენერალური მდივნის

67 The Principles For Division Of Competences Between Tbilisi And Sukhumi, 2002, Article 1

68 The Principles For Division Of Competences Between Tbilisi And Sukhumi, 2002, Article 2

69 The Principles For Division Of Competences Between Tbilisi And Sukhumi, 2002, Article 3

70 The Principles For Division Of Competences Between Tbilisi And Sukhumi, 2002, Article 4

71 The Principles For Division Of Competences Between Tbilisi And Sukhumi, 2002, Article 6

72 The Principles For Division Of Competences Between Tbilisi And Sukhumi, 2002, Article 7

73 The Principles For Division Of Competences Between Tbilisi And Sukhumi, 2002, Article 8

სპეციალურ წარმომადგენელთან გამართულ განხილვაზე აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი ანრი ჯერგენია აცხადებდა, რომ უარს იტყოდა ნებისმიერ შეთავაზებაზე, რომელიც აფხაზეთს საქართველოს შემადგენელ ნაწილად განიხილავდა.⁷⁴ გენერალური მდივანი საკუთარ მოხსენებებში აღნიშნავდა, რომ მოლაპარაკებებში პროგრესის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი აფხაზეთის მიერ 1999 წელს დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადება იყო.⁷⁵

დიტერ ბოდენისა და მეგობარ სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტი აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად გაეროს მიერ წარმოდგენილი ერთადერთი ოფიციალური ინიციატივაა, მაგრამ მისი მიღება ვერ მოხერხდა. მას შემდეგ, გაეროს ეგიდით ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა ბოსნია-ჰერცეგოვინაში, სერბეთში, მონტენეგროში, ბონსა და ჟენევაში, თუმცა, კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით პროგრესი არ მიღწეულა.

2008 წლის რუსული ინტერვენციისა და მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების უშიშროების საბჭოს უკანასკნელ რეზოლუციაზე ვეტოს დადების შემდეგ, მოსკოვმა გაერო სამშვიდობო პროცესებს მაქსიმალურად ჩამოაშორა. დღეისათვის აფხაზეთის საკითხში გაეროს ჩართულობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეობითა და გენერალური ასამბლეის მიერ „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ყოველ წელს მიღებული რეზოლუციებით შემოიფარგლება, სადაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა - IDP აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლებაა აღიარებული.

გაეროს მონაწილეობა კვიპროსის პრობლემისა და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში - განსხვავებები

აფხაზეთსა და კვიპროსზე არსებული დაძაბულობის შესამცირებლად,

74 S/2002/88

75 S/2003/39

სამშვიდობო პროცესების ხელშესაწყობად და შემდგომში კონფლიქტის ყოვლისმომცველი და სიცოცხლისუნარიანი გადაწყვეტის საპოვნელად გაეროს საქმიანობაში შემდეგი მნიშვნელოვანი განსხვავებები იკვეთება:

კვიპროსზე გაერომ მრავალეროვნული სამშვიდობო მისია და ბუფერულ ზონაში გაეროს სამოქალაქო პოლიცია დააფუძნა, აფხაზეთის შემთხვევაში ის მხოლოდ სადამკვირვებლო მისიის გამოგზავნით შემოიფარგლა, სამშვიდობოების ფუნქციას კი დსთ-ს, ფაქტობრივად, რუსეთის ძალები ასრულებდნენ.

აფხაზეთის კონფლიქტისგან განსხვავებით კვიპროსზე გაერო მხარეთა შორის მოლაპარაკებებში მთავარი მედიატორია, აფხაზეთში საქმიანობის პერიოდში კი მას მსგავსი სტატუსი არ ჰქონია/აქვს, ის ერთ-ერთი მედიატორი იყო/არის.

კვიპროსზე მიმდინარე პროცესებში თავიდანვე ზუსტად იყო განსაზღვრული მონაწილე მხარეთა სტატუსი: ბეძნულ-თურქული თემის გარდა მხარეებს წარმოადგენდნენ გარანტორი სახელმწიფოები: საბერძნეთი, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო, გაერო კი მათ შორის მოლაპარაკებებში მთავარი მედიატორის ფუნქციას ასრულებდა.

გაეროს საქმიანობის პერიოდში აფხაზეთის კონფლიქტი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად განიხილებოდა, სადაც რუსეთი მოლაპარაკებების ფასილიტატორის სტატუსით სარგებლობდა, შემდგომში ის გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყანათა ჯგუფსაც შეუერთდა. რეალურად, აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთი ერთ-ერთი მხარე იყო, რაც 2008 წელს ოფიციალური მოსკოვის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებით და 2009 წელს აფხაზეთთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაზე ვეტოს დადებით დადასტურდა. რუსეთის ფედერაციის ამ ქმედებებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს ჩამოაშორა.

კვიპროსისა და აფხაზეთის საკითხების მოსაგვარებლად მიმდინარე მოლაპარაკებებისას გაეროს მედიატორობა წარმატების თვალსაზრისით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა. კვიპროსზე მხარეებმა არაერთ დოკუმენტს მოაწერეს ხელი, რომელთა მიხედვითაც ბერძნულ-თურქული თემი და გარანტორი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ კვიპროსი აუცილებლად უნდა გაერთიანდეს და ეს ერთიანობა ბიზონალურობისა და

ბიკომუნალურობის პრინციპებს უნდა დაეფუძნოს. აფხაზეთის შემთხვევაში მსგავსი შეთანხმება „თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციის გადანაწილების ძირითადი პრინციპები“ უნდა ყოფილიყო, რომელიც გაერომ გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყანათა ჯგუფთან ერთად შეიმუშავა, თუმცა, აფხაზეთმა მხარემ ის არ მიიღო. კვიპროსის-თურქული თემისგან განსხვავებით, აფხაზეთის დე-ფაქტო წარმომადგენლებს, 1994 წლის 4 აპრილის შეთანხმების გარდა, არცერთ ისეთ დოკუმენტზე არ აქვთ ხელი მოწერილი, რომელიც აფხაზეთს საქართველოს ნაწილად აღიარებს. აღსანიშნავია ისიც, რომ 1994 წლის 4 აპრილის დოკუმენტში „განცხადება ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის მოგვარების შესახებ“, პირდაპირ არ არის ნათქვამი, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილია. მასში აღნიშნულია, რომ კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოგვარების შემდეგ, აფხაზეთს უნდა ჰქონოდა საკუთარი კონსტიტუცია, საკანონმდებლო ორგანო და სახელმწიფო სიმბოლიკა. ნებისმიერი სხვა საკითხი სახელმწიფო მოწყობის შესახებ დოკუმენტში ღიადაა დატოვებული. კვიპროსისგან განსხვავებით, აფხაზეთის შემთხვევაში, მხარეებს არასდროს მიუღიათ ისეთი დოკუმენტი, რომელშიც არსებული სტატუს-კვოს მიუღებლობა ხაზგასმული იქნებოდა.

თავი III - აფხაზეთისა და კვიპროსის პრობლემების მოგვარების პროცესში გაეროს განსხვავებული ჩართულობის მიზეზები

აფხაზეთისა და კვიპროსის კონფლიქტების გადაწყვეტაში გაეროს მონაწილეობის ეფექტურობა ძირითადად ამ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელმა ფაქტორებმა განაპირობეს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საერთაშორისო უსაფრთხოების მხრივ უმთავრეს გამოწვევას კრიზისში მყოფი პოსტ-საბჭოთა ბირთვული სახელმწიფოები და რუსეთის დეზინტეგრაციის საფრთხე წარმოადგენდა. 1990-იანი წლების მანძილზე რუსეთი არასტაბილური ბირთვული სახელმწიფო იყო. 1999 წელს შეერთებული შტატების კონგრესის უმრავლესობის ლიდერმა დიკ არმეიმ რუსეთს „გადარცვული და გაბანკროტებული ბირთვული ანარქიის ზონა“ უწოდა.⁷⁶

76 <https://www.nytimes.com/1999/09/15/world/republicans-step-up-attack-on-clinton-s-russia-policy.html>

სსრკს დაშლის შემდეგ დაახლოებით 3200 ბირთვული ქობინი ყაზახეთის, უკრაინისა და ბელარუსის ხელში აღმოჩნდა. აღნიშნული საკითხი 90-იანი წლების საწყის პერიოდში დასავლეთისთვის რუსეთთან ურთიერთობებში მთავარი პრიორიტეტი იყო. ბირთვული კრიზისის თავიდან ასარიდებლად დასავლეთის ნომერ პირველი ამოცანა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ბირთვული შეიარაღების ერთ სახელმწიფოში, რუსეთში, როგორც სსრკს სამართალმემკვიდრის ხელში თავმოყრა იყო. მოლაპარაკებების შედეგად უკრაინა, ბელარუსი და ყაზახეთი რუსეთისთვის საკუთარი შეიარაღების გადაცემას დათანხმდნენ, თუმცა, ეს საფრთხეს მხოლოდ ამცირებდა.⁷⁷

1990-იანი წლების განმავლობაში რუსეთის ფედერაცია რამდენჯერმე კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. 1991-2001 წლებში რუსული რუბლი აშშ დოლართან მიმართებაში 99%-ზე მეტით გაუფასურდა⁷⁸, 1991-98 წლებში კი მშპ ერთ სულ მოსახლეზე 39%-ით შემცირდა.⁷⁹ ეკონომიკური არასტაბილურობა რუსეთის დეზინტეგრაციის საფრთხეს ზრდიდა, რაც საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა იყო, რადგან ის მსოფლიოს უდიდეს ბირთვულ სახელმწიფოს და საერთაშორისო ძალთა ბალანსისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან აქტორს წარმოადგენდა.

ამ საფრთხეებთან გასამკლავებლად დასავლეთი რუსეთის ფედერაციას მნიშვნელოვან დახმარებებს უწევდა. ამ პერიოდში დასავლეთში დამკვიდრებული იყო აზრი, რომ რუსეთი ტრანზიციის პერიოდში მყოფი დემოკრატია იყო, მართალია ბევრი ნაკლოვანებით, თუმცა, საერთო აღქმით, ქვეყანა მაინც დემოკრატიზაციის გზაზე იდგა. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა ხელი შეეწყოს რუსეთში დემოკრატიული ექსპერიმენტის წარმატებით დასრულებისთვის, რათა მოეხერხებინა პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის დაძლევა.⁸⁰ 1990-იან წლებში დასავლელი ლიდერები რუსეთს გარდამავალი დემოკრატიის ყველაზე მნიშვნელოვან შემთხვევად განიხილავდნენ. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, უორენ კრისტოფერი, საუბრობდა, რომ საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი საზოგადოების შენების საქმეში რუსი ხალხის დახმარება თანამედროვეობის ყველაზე დიდი გამოწვევა, რუსეთი კი საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი

77 Budapest Memorandum on Security Assurances, 1994

78 Shleifer, A & Treisman, D. 159

79 Shleifer, A & Treisman, D. 154

80 Evans, 2011, 9 <https://journals.sagepub.com/doi/10.1016/j.euras.2010.10.001>

იყო.⁸¹ რუსეთის მხარდასაჭერად, უპირველეს ყოვლისა, უნდა წახალისებულიყო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, დაწყებულიყო პრივატიზაციის პროცესი, რუსეთში შესულიყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ქვეყანაში ეკონომიკური გარემო გაუმჯობესებულიყო, რასაც შედეგად პოლიტიკური სტაბილურობა მოყვებოდა. რუსეთში დემოკრატიზაციის პროცესის ხელშესაწყობად, მხოლოდ 1990-1992 წლებში აშშ-მა მოსკოვს 4.5 მილიარდი დოლარის დახმარება გამოუყო.⁸²

რუსეთის დემოკრატიზაციის მხარდაჭერასა და პოსტ-საბჭოთა ბირთვული იარაღის საკითხების გარდა, დასავლეთის ყურადღების დიდ ნაწილს ბალკანეთში განვითარებული კონფლიქტები იქცევდა, ვინაიდან იქ მიმდინარე ომები ევროპის უსაფრთხოებისთვის მთავარი გამოწვევა იყო.

აქედან გამომდინარე, აფხაზეთის კონფლიქტი დასავლეთის დღის წესრიგში პრაქტიკულად არ იდგა, განსხვავებით კვიპროსისგან, რომელშიც პირდაპირ იყვნენ ჩართული ნატოს წევრი სახელმწიფოები საბერძნეთის, თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის სახით, აქედან გამომდინარე, ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის დაძაბულობის ესკალაცია დასავლეთის ინტერესებში არ შედიოდა. საქართველოსთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, რომ აფხაზეთის საკითხი საერთაშორისო დღის წესრიგის ტოპ პრიორიტეტებში მოქცეულიყო. ამან კი აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრაში, გაეროს ეფექტურობა მინიმუმამდე დაიყვანა. ამავედროულად, დასავლეთის აღქმით, აფხაზეთის კონფლიქტის გადასაწყვეტად პროცესებში რუსეთის აქტიური მონაწილეობა აუცილებლობას წარმოადგენდა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ რუსეთს, რომელიც კონფლიქტში რეალურად მხარეს წარმოადგენდა, გაერომ ფასილიტატორის სტატუსი მიანიჭა.

კვიპროსისა და აფხაზეთის კონფლიქტებში გაეროს ეფექტურობის განსხვავებული ხარისხი ინტერვენტი სახელმწიფოების საერთაშორისო სტატუსმაც განაპირობა. კვიპროსისგან განსხვავებით საქართველოს ტერიტორია რუსეთის ფედერაციის მიერაა ოკუპირებული, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრია, რაც მას გაეროს ეგიდით მიმდინარე პროცესებზე კონტროლის მეტ მექანიზმს აძლევს, ვიდრე თურქეთს, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს

81 Evans, B. 41

82 <https://www.russiamatters.org/facts/timeline-us-russia-relations-1983-march-2019>

მუდმივმოქმედი წევრი არაა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ 2009 წელს რუსეთის ფედერაციამ უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ვეტო დაადო და საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისია გააჩერა.

რუსეთის მსგავსად, თურქეთიც ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებს, თუმცა, ოფიციალური ანკარას აღიარებას გაერო კვიპროსზე მიმდინარე პროცესებიდან არ ჩამოუშორებია, განსხვავებით რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებისგან. 2008 წლამდე აფხაზეთის საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ ყველა რეზოლუციაში აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ხაზგასმულია, რომ აფხაზეთი საქართველოა. ვითარება შეიცვალა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როდესაც ოფიციალურმა მოსკოვმა აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა, რამაც შეუძლებელი გახადა უშიშროების საბჭოში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუციების მიღება. შედეგად, 2009 წლიდან აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში გაეროს მონაწილეობა პრაქტიკულად შეჩერდა.⁸³

საქართველოსგან განსხვავებით, კვიპროსს საბერძნეთის სახით საერთაშორისო არენაზე მჭიდრო კულტურულ-ისტორიული კავშირებისა და მსგავსი ეროვნულ-რელიგიური იდენტობის მქონე ლობისტი ჰყავდა, რომელიც მას როგორც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ასევე, ევროპის კავშირში ლობირებდა. საბერძნეთის მიერ ოფიციალური ნიქოზიის მხარდაჭერამ კვიპროსის საკითხის გადაწყვეტაში გაეროს მონაწილეობის ეფექტურობის გაზრდას შეუწყო ხელი. აღსანიშნავია, რომ საბერძნეთმა კვიპროსის თემასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას კუნძულის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, ჯერ კიდევ 1954-1958 წლებში 5-ჯერ მიმართა. ოფიციალური ათენის მიზანი გენერალური ასამბლეის მიერ კვიპროსის მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებით რეზოლუციის მიღება

83 კვიპროსის რესპუბლიკის ყველა მთავრობის პოლიტიკა კუნძულის რეუნიფიკაციასთან დაკავშირებით თანხმობაშია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან, რომელიც გმობს თურქეთის რესპუბლიკის ქმედებებს 1974 წელს. სსრკს მიერ ამ რეზოლუციის მხარდაჭერა „ცივი ომის“ ეპოქის სულისკვეთებამ და საბერძნეთში არსებული სამხედროს ხუნტის მიმართ უარყოფითმა დამოკიდებულებამ განაპირობა. საქართველოსთან მიმართებაში მსგავსი რეზოლუციები უშიშროების საბჭოს მხრიდან არ არსებობს იქ რუსეთის მუდმივი წევრობით განსაზღვრული ვეტოს უფლების გამო.

იყო.⁸⁴ ამ პერიოდში კვიპროსი ბრიტანეთის კოლონია იყო, შესაბამისად კუნძულზე განვითარებული მოვლენები გაერთიანებული სამეფოს შიდა პოლიტიკურ პრობლემად განიხილებოდა და საბერძნეთმა 1954-1958 წლებში საკითხის ინტერნაციონალიზება ვერ მოახერხა.

კვიპროსის პრობლემის მოგვარებაში გაეროს ჩართულობას საბერძნეთი ფინანსური თვალსაზრისითაც უჭერდა მხარს. კუნძულზე მოქმედ გაეროს სამშვიდობო მისიის ბიუჯეტში ოფიციალური ათენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია.

გაეროს ეფექტური მედიატორობისთვის კატალიზატორი საბერძნეთის მიერ კვიპროსის არა გაეროში, არამედ ევროპის კავშირში ლობირება აღმოჩნდა. 1972 წლის დეკემბერში ევროპის კავშირმა და კვიპროსის რესპუბლიკამ ასოცირების შეთანხმება გააფორმეს, რომელიც 1973 წლის ივნისში ძალაში შევიდა. 1981 წელს საბერძნეთი ევროპის თანამეგობრობის წევრი გახდა. 1990 წელს კვიპროსის რესპუბლიკამ ევროპის კავშირის წევრობაზე განაცხადი გააკეთა, 1998 წლის მარტში კი ბრიუსელსა და კვიპროსის რესპუბლიკას შორის წევრობასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები დაიწყო, რაც 2004 წელს წევრობით დასრულდა. კუნძულის ევროინტეგრაციის პროცესი გაეროს ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებებისთვის ერთ-ერთი ფასილიტატორი აღმოჩნდა. გამომდინარე იქიდან, რომ კვიპროსის გაერთიანება თურქულ თემს ევროპის კავშირის სიკეთეებით სარგებლობის შესაძლებლობას მისცემდა.

საბერძნეთის რესპუბლიკის პოზიციამ კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით თურქეთის პოზიციის ცვლილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, რადგან ათენი თურქეთის ევროინტეგრაციის პროცესზე ბერკეტებს ფლობდა. ევროპის კავშირში კვიპროსის წევრობასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ზუსტი თარიღის დადგენამდე, საბერძნეთი თურქეთ-ევროპის კავშირის საბაჟო კავშირის შეთანხმებაზე, რომელიც 1995 წლის მარტში შედგა, ვეტოს უფლების გამოყენებით იმუქრებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ევროპულ გაერთიანებაში მსგავსი გადაწყვეტილების მისაღებად წევრი სახელმწიფოების მხრიდან ერთსულოვანი მხარდაჭერა იყო საჭირო და საბერძნეთის თანხმობის გარეშე შეთანხმება ვერ შედგებოდა, ვეტოს უფლება ოფიციალური ათენის ხელში კვიპროსის ევროინტეგრაციის ხელშემწყობი პოლიტიკური ბერკეტი აღმოჩნდა.⁸⁵

84 Xydis, 1968, 141

85 Dodd, 2010, 188

კვლევის ადწერით ნაწილში ჩანს, რომ გაეროს მედიატორობით მხარეებს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა, თუმცა, საკითხი მოგვარებასთან ყველაზე ახლოს მხოლოდ 2004 წელს იყო, როდესაც მომლაპარაკებლებმა კოფი ანანის გეგმის საბოლოო ვარიანტს მხარი დაუჭირეს და ის კვიპროსის ბერძნულენოვან და თურქულენოვან ნაწილში ერთდროულად გავიდა რეფერენდუმზე, მაგრამ ბერძნული თემის ამომრჩეველმა გეგმა უარყო.

რეფერენდუმზე დაფიქსირებული უარყოფითი შედეგის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ გენერალურ მიღვან კოფი ანანის მიერ წარმოდგენილი ინიციატივები და ხედვები მრავალრანდიანი მოლაპარაკებების შემდეგ მხარეებმა გაიზიარეს და საბოლოო შეთანხმებასაც მიაღწიეს, ამიტომაც გაეროს მრავალწლიანი მედიატორობის განმავლობაში ეს პერიოდი პრობლემის მოგვარების ყველაზე წარმატებულ მცდელობად უნდა შეფასდეს.

2004 წელს კვიპროსზე გაეროს ეფექტური მედიატორობა დიდწილად ევროპის კავშირის ფაქტორმა და საკითხზე თურქეთის პოზიციის ცვლილებამ გამოიწვია, რომელიც „სამართლიანობისა და აღორძინების პარტიის - AKP“ 2002 წლის არჩევნებში გამარჯვებას მოყვა. „შეგვიძლია ბევრი ვისაუბროთ კვიპროსის მიმართ თურქეთის 1974-2002 წლების საგარეო პოლიტიკაზე, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ის დამყოლი და შემრიგებლური იყო. მიუხედავად ამისა, 21-ე საუკუნის დასაწყისში ზოგიერთ თურქ პოლიტიკოსს ესმოდა თურქეთის საგარეო პოლიტიკის გარდაქმნის აუცილებლობა. მათ შორის იყვნენ მომავალი ლიდერი რეჯეფ თაიფ ერდოღანი, აბდულა გიული და აჰმეთ დავუთოღლუ.“⁸⁶ შიდა პოლიტიკური თვალსაზრისით, კვიპროსის საკითხზე პოზიციის შერბილების გამო AKP-ს და მის ლიდერებს ოპოზიცია აკრიტიკებდა, მაგრამ ახალი ხელისუფლება კვიპროსის საკითხზე წინამორბედებთან შედარებით ნაკლებად ხისტი იყო. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ერდოღანი საუბრობდა, რომ თურქეთის უკანასკნელი 30 წლის პოლიტიკაში ფუნდამენტური ცვლილებები იყო გასატარებელი.⁸⁷ სხვადასხვა შემთხვევებში პრემიერ მინისტრი ერდოღანი აღნიშნავდა, რომ „თურქეთი უნდა დარჩენილიყო მაგიდასთან“ და „არ უნდა ყოფილიყო მხარე, რომელიც ‘არას’ იტყოდა, მას მშვიდობისთვის უნდა გაეკეთებინა იმაზე მეტი, ვიდრე ბერძენი კვიპროსელები აკეთებდნენ.“⁸⁸ ამასთან, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითად

86 Osiewicz, 2013, 121.

87 Aslihan Celenk, 2007, 351

88 Aslihan Celenk, 2007, 353

პრიორიტეტს მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების პოლიტიკა წარმოადგენდა.⁸⁹

თურქეთისთვის 90-იანი წლების ბოლოდან რეალობა შეიცვალა. კვიპროსზე სტატუს-კვოს შენარჩუნებას ანკარასთვის მაღალი პოლიტიკური ფასი ჰქონდა, გაყოფილი კვიპროსი და მისი ნაწილის ოკუპაცია, თურქეთისთვის ევროპის კავშირში გაწევრიანების გზაზე მნიშვნელოვანი ბარიერი აღმოჩნდა. 1999 წელს ჰელსინკის სამიტზე, ბრიუსელმა თურქეთს გამოუცხადა, რომ კვიპროსის საკითხის მოგვარება თურქეთის ევროპის კავშირში გაწევრიანების წინაპირობა იყო.⁹⁰ 2003 წლის ევროკომიის მოხსენებაში - 2003 Regular Report on Turkey's progress towards accession კვიპროსთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ევროპის კავშირი ყველა მხარეს და განსაკუთრებით თურქეთს და კვიპროსელ თურქებს გაეროს ფარგლებში წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე მოლაპარაკებების სწრაფად აღდგენისკენ მოუწოდებს.⁹¹

თურქეთის ევროინტეგრაციის გზაზე, რომელიც AKP-ს ერთ-ერთ უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა, კვიპროსის საკითხზე პოზიციის შერბილება აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯად მიიჩნეოდა. თითქმის აშკარა იყო, რომ უკომპრომისო პოლიტიკის გაგრძელება ანკარასთვის ევროპის კავშირთან დასაახლოებლად და გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დასაწყებად ნულოვან პროგრესს ნიშნავდა.⁹²

ამდენად, კვიპროსის საკითხი თურქეთის ერთ-ერთი მთავარი საგარეო პოლიტიკური მიზნისთვის აუცილებლად გადასალახი წინაღობა იყო, რამაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მქონე ქვეყნის ახალ ხელისუფლებას ადრინდელი მთავრობების ხისტი პოზიციის შერბილებისკენ უბიძგა. ამ ფუნდამენტურ ცვლილებებსა და თურქეთის ახალ პოლიტიკურ სვლებს 2004 წლის 10 თებერვალს ნიუ იორკში მხარეებს შორის მოლაპარაკებების განახლება მოყვა.⁹³ ამან კი გაეროს კვიპროსის პრობლემის ყოვლისმომცველი მოგვარების გზაზე ეფექტური მედიატორობის საშუალება შეუქმნა, ეს შესაძლებლობა კი გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გამოიყენა და მხარეებმა გაეროს მედიატორობით შეთანხმებასაც მიაღწიეს.

89 <https://foreignpolicy.com/2010/05/20/turkeys-zero-problems-foreign-policy/>

90 Aslihan Celenk, 2007, 350

91 2003 Regular Report on Turkey's progress towards accession

92 Osiewicz, 2013, 121

93 Aslihan Celenk, 2007, 353

პრობლემის მოგვარების საკითხში ევროპის კავშირის დადებითი გავლენა მხოლოდ თურქეთის პოზიციის შერბილებაში არ გამოიხატა, მან დადებითი როლი ითამაშა ორ თემს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაშიც. ევროპის კავშირის წევრობით კვიპროსს ბევრი სარგებლის მიღება შეეძლო, კუნძულზე არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნების შემთხვევაში კი იზოლაციაში მყოფი ჩრდილოეთი ნაწილი ევროპის კავშირის სიკეთეებით სარგებლობას ვერ შეძლებდა. აღნიშნული ფაქტორი თურქული თემისთვის მოლაპარაკებების განახლებისა და წარმატებით დასრულებისთვის სტიმულის მიმცემი აღმოჩნდა, რამაც გაეროს მედიატორობა დამატებით ეფექტური გახადა.

საქართველოს შემთხვევაში, ვითარება სხვაგვარი იყო. რუსეთისთვის აფხაზეთში არსებული სტატუს-კვო არანაირ პოლიტიკურ გართულებებთან არ იყო დაკავშირებული. თურქეთისგან განსხვავებით, არსებული რეალობა რუსეთს დისკომფორტს არ უქმნიდა, ის მოსკოვის საგარეო პოლიტიკური მიზნებისთვის დამაზიანებელი არ ყოფილა. ასევე, საქართველოს შემთხვევაში სეპარატისტულ რეგიონსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ნაწილს შორის ეკონომიკური განვითარების კუთხით, კვიპროსისგან განსხვავებით, თვალშისაცემი დისბალანსი არ არსებობდა. ამდენად, თბილისი სოხუმისთვის მიზიდულობის ცენტრს არ წარმოადგენდა.

2010-იანი წლების დასაწყისში თურქულ და ბერძნულ თემს შორის მოლაპარაკებების განახლებაზე ენერგო რესურსების საკითხმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. 2011 წელს კვიპროსის ხელისუფლებამ მის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში ბუნებრივი აირის საბადოს აღმოჩენა დააანონსა. საბადოების აღმოჩენა კვიპროსის საკითხში ერთგვარი game-changer გახდა და მოლაპარაკებების ახალ ეტაპს მისცა ბიძგი. მაგრამ კრანს-მონტანას მოლაპარაკებების ჩავარდნის შემდეგ გაჩნდა ეჭვები, რომ თურქეთის პოზიციამ მოდიფიკაცია განიცადა, აღარ ემხრობა კვიპროსის სახელმწიფოს ფედერალურ მოდელს და მხარს უჭერს სტატუს-კვოს შენარჩუნებას. თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ ანკარა ცდილობს კვიპროსის თემა სხვა, მისთვის მნიშვნელოვან, თემებს (ევროპული ინტეგრაციის საკითხში ჩიხი, ურთიერთობების გაფუჭება აშშ-თან და ზოგადად დასავლეთთან, უსაფრთხოების პრობლემები და გამოწვევები მის უშუალო სამეზობლოში და სხვ.) მიაბას და ბუნებრივი აირის და კვიპროსის საკითხი მოლაპარაკებების მაგიდასთან სარფიანად გამოიყენოს. თურქეთის რესპუბლიკა კვიპროსის სახელმწიფოს და შესაბამისად მის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონას არ სცნობს, ღია ზღვაში პროვოკაციული ქმედებებითა და კვიპროსის

ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში მომუშავე კომპანიების მიმართ შანტაჟის პოლიტიკით ცდილობს, ხელი შეუშალოს პროცესების მისთვის არასასურველ განვითარებას - ანკარას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიაჩნია, დარჩეს გლობალურ ენერგეტიკულ გადანაწილებაში, მით უმეტეს იმ რეგიონში, რომელიც მისი უშუალო გავლენის სფეროდ მიაჩნია. აღსანიშნავია, რომ კვიპროსმა საზღვაო საზღვრების დემარკაცია მოახდინა ლიბანთან და ისრაელთან, ექსკლუზიური ეკონომიკური ზონის საზღვრების დელიმიტაციის საკითხები მოგვარებული აქვს ეგვიპტესა და საბერძნეთთან, პრობლემად რჩება მხოლოდ თურქეთი და ლიბია. თურქეთის რესპუბლიკამ კი 2019 წლის ბოლოს ხელი მოაწერა ორმხრივ საზღვაო შეთანხმებას გაეროს მიერ მხარდაჭერილ ლიბიის ოფიციალურ ხელისუფლებასთან, რომლის მეშვეობით ქვეყნებმა მოახდინეს მათი ექსკლუზიური ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის დელიმიტაცია, რაც გულისხმობს თურქეთის უფლებას აწარმოოს ეკონომიკური აქტივობები საკუთარი ტერიტორიული წყლებიდან ლიბიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირომდე, რაც მოიცავს კვიპროსის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონასაც. თურქეთისა და ლიბიის პრეტენზიებს კვიპროსის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაზე არ ცნობს არც ერთი დიდი სახელმწიფო.⁹⁴

გარდა თურქეთის პოზიციის ცვლილებისა, მეორე მნიშვნელოვან საკითხს ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლის სამართლიანი განაწილება წარმოადგენს. კვიპროსის რესპუბლიკის ხელისუფლება ამბობს, რომ ბუნებრივი რესურსებიდან მიღებულის იმდიდ რეკონსტრუქციის ყველამოქალაქისაა დარომსარგებელი ყველამ თანაბრად უნდა მიიღოს, თუმცა, ამასთან რესურსების საკითხი კვიპროსის კონფლიქტის ყოვლისმომცველი და სიცოცხლისუნარიანი გადაწყვეტის საერთო გეგმას ორგანულად უნდა ებმოდეს. ამის შანსი კი მხარეებმა 2017 წელს, კრანს-მონტანას მოლაპარაკებებზე გაუშვეს.⁹⁵

ზემოხსენებული ფაქტორებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ენერგორესურსებისა და მისი ექსპლუატაციის თემა კვიპროსის საკითხში მნიშვნელოვანი ახალი გარემოება აღმოჩნდა, რამაც გაეროს შესაძლებლობა მისცა კონფლიქტის ყოვლისმომცველი გადაწყვეტის თაობაზე მოლაპარაკებების ახალი რაუნდი დაეწყო. კვიპროსისგან განსხვავებით, აფხაზეთის შემთხვევაში კი მსგავსი ხელისშემწყობი

94 <http://iveria.biz/367-sifosis-axali-cikli-tu-axali-realoba-xmeltasua-zrvis-auzsi.html>

95 <https://www.europeandatajournalism.eu/eng/News/Data-news/Gas-in-Cyprus-blessing-or-curse>

ფაქტორი არ არსებობს.

გაეროს შუამავლობის წარმატებულობა არანაკლებ იყო დამოკიდებული კუნძულის ორ თემის ლიდერებს შორის პერსონალურ ურთიერთობებზე (“personal chemistry”). გაეროს ჩართულობა ეფექტური და შედეგიანი იყო მაშინ, როცა სხვა უფრო მნიშვნელოვან ფაქტორებთან (ევროპული ინტეგრაცია, საერთაშორისო ვითარება, ბუნებრივი აირის საბადოების აღმოჩენა) ერთად, თურქ-კვიპროსელ და ბერძენ-კვიპროსელ ლიდერებს შორის არსებობდა იდეოლოგიური თანხვედრა, მომავლის ერთნაირი ხედვა და პირადი კეთილგანწყობები. ამას გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კუნძულის ორ თემში «შიდა პოლიტიკური» დინამიკა, ბერძნულ-კვიპროსული და თურქულ-კვიპროსული სოცუმების მიერ პრობლემის გადაწყვეტის მიმდებლობა და პოლიტიკური ლიდერების მხრიდან რეუნიფიკაციის თემის შიდა პოლიტიკური მოხმარებისთვის გამოყენება. აფხაზეთის შემთხვევაში კარგი პერსონალური ქიმიის არსებობა არ შეინიშნება, ხოლო შიდა პოლიტიკური მოხმარებისთვის აფხაზეთის თემის გამოყენების მაგალითები უხვადაა ორივე მხარეს, ამასთან აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის ნებისმიერი კომპრომისული ვარიანტი ორივე მხარეს საზოგადოების წინააღმდეგობას აწყდებოდა და ლიდერებს გაბედულ ინიციატივებში ბოჭავდა.

დასკვნა

აფხაზეთის კონფლიქტისა და კვიპროსის პრობლემის მოგვარების საკითხში გაეროს ჩართულობის შესწავლისას ცხადი გახდა, რომ მოლაპარაკებების დაწყებისა და მისი წარმატებით დასრულებისთვის მხოლოდ გაერთიანებული ერების მცდელობა არ კმარა, პროცესებს ხელი ამ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელმა ფაქტორებმა უნდა შეუწყონ. კვიპროსის შემთხვევაში ასეთი კატალიზატორები არსებობდა. მოლაპარაკებებში წარმატების შანსს ზრდიდა ის ფაქტი, რომ დაპირისპირებული მხარეები, თურქეთი და საბერძნეთი ნატოს წევრი სახელმწიფოები არიან, ცივი ომის პერიოდში კი ალიანსს შიგნით დაძაბულობის ზრდა დიდი ბრიტანეთის (რომელიც ასევე გარანტორი სახელმწიფო და კვიპროსის საკითხით დაინტერესებული ერთ-ერთი მთავარი აქტორი იყო) და აშშ-ს ინტერესებში არ შედიოდა, ამდენად, მსგავსი რეალობა მხარეთა შორის შეთანხმების შანსებს ზრდიდა, რაც 1970-იანი წლების ბოლოს ბიზონალურ და ბიკომუნალურ ფედერაციულ

მოდელზე შეთანხმებით დასრულდა. ეს შეთანხმება შემდგომი მოლაპარაკებების ბაზისად იქცა.

კვიპროსის საკითხს საერთაშორისო ასპარეზზე ლობირებდა საბერძნეთი, რომლის მხარდაჭერითაც კუნძული ევროპის კავშირში გაწევრიანდა, რაც, თავის მხრივ, 2000-იანი წლების დასაწყისში კონფლიქტის გადაჭრისთვის გაეროს მედიატორობით მიმდინარე მოლაპარაკებებში გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა. ევროპის კავშირის ფაქტორმა კვიპროსის საკითხზე თურქეთის პოზიციის ცვლილება გამოიწვია, რასაც კოფი ანანის მე-5 გეგმაზე შეთანხმების მიღწევა მოყვა. მხარეებმა კომპრომისულ ვარიანტზე შეჯერება მოახერხეს, თუმცა ბერძნულმა თემმა გეგმას რეფერენდუმზე მხარი არ დაუჭირა.

კვიპროსის პრობლემის მოგვარების საკითხში გაეროს ეფექტური მედიატორობისთვის უკანასკნელი კატალიზატორი ბუნებრივი აირის ფაქტორი აღმოჩნდა. მან თურქულ თემში გაერთიანების სურვილი გაზარდა, რადგან ევროპის კავშირის წევრობასთან ერთად, ენერგორესურსების ექსპლუატაციიდან მიღებული სარგებელი, კუნძულის გაერთიანების შემთხვევაში, თურქულ მოსახლეობას სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების დაძლევაში დაეხმარება.

აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში კი გაეროს საქმიანობისთვის მსგავსი მასშტაბის ხელშემწყობი ფაქტორები არ არსებობდა. 1990-იან წლებში საქართველო საერთაშორისო დღის წესრიგში პრიორიტეტული საკითხი არ ყოფილა. ამ დროს დასავლეთის მთავარი ყურადღება რუსეთის დეზინტეგრაციის საფრთხესთან გამკლავებისკენ, სსრკს დაშლის შემდეგ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში დარჩენილი ბირთვული არსენალისკენ და ბალკანეთის კონფლიქტებისკენ იყო მიპყრობილი. ამდენად, კვიპროსისგან განსხვავებით, ნაკლები საერთაშორისო მხარდაჭერის მქონე საქართველომ ისიც ვერ მოახერხა, რომ კონფლიქტში აქტიურად ჩართული რუსეთისთვის მხარის სტატუსი მიენიჭებინა. 2008 წლამდე რუსეთის ფედერაცია მხარეთა შორის მოლაპარაკებების ფასილატატორად მიიჩნეოდა და გაეროს გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყანათა ჯგუფის წევრიც კი იყო.

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში გაეროს არაეფექტურობა დიდწილად რუსეთის საერთაშორისო სტატუსმაც განაპირობა. უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედმა წევრობამ მოსკოვს 2008 წლის შემდეგ პროცესებიდან გაეროს მაქსიმალურად დისტანცირების საშუალება მისცა, მსგავსი რამ კვიპროსის შემთხვევაში ძნელად

წარმოსადგენია, რომ მოხდეს.

შედეგად, კვიპროსის საკითხზე გამართული მოლაპარაკებები, მიუხედავად იმისა, რომ კუნძული ამ დრომდე გაყოფილია, აფხაზეთთან შედარებით უფრო წარმატებულია, რადგანაც მხარეები არსებული სტატუს-კვოს მიუღებლობაზე და კუნძულის გაერთიანების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ 1977 წელს შეთანხმდნენ. აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებული მოლაპარაკებებში კი მხარეები მსგავს კომპრომისამდე არასდროს მისულან.

ბიბლიოგრაფია

1. Aksu, Esref. 2003. *The United Nations, Intra-state Peacekeeping and Normative Change*. Manchester, UK, Manchester University Press;
2. Assmussen, Jan. 2008. *Cyprus At War : Diplomacy And Conflict During The 1974 Crisis*. New York, NY, USA, I.B.Tauris & Co Ltd;
3. Beradze T, Khorava B, Topuria K. 2017. *A Historical-Geographic Review of Modern Abkhazia*. Tbilisi, Georgia, Konrad Adenauer Stiftung;
4. Bolukbasi, Suha. 1998. *The Cyprus Dispute and the United Nations: Peaceful Non-Settlement between 1954 and 1996*. Cambridge, UK, International Journal of Middle East Studies, Vol. 30, No. 3, Cambridge University Press;
5. Bryant Rebecca and Yiannis Papadakis. 2012. *Cyprus and The Politics of Memory History, Community and Conflict*. New York, NY, USA, I.B.Tauris & Co Ltd;
6. Çelenk, A.A. 2007. *The Restructuring of Turkey's Policy Towards Cyprus: The Justice and Development Party's Struggle for Power*. London, UK, Turkish Studies, Vol. 8, No. 3, Taylor & Francis Ltd;
7. Christou, George. 2004. *The European Union and Enlargement: The Case of Cyprus*. London, UK, Palgrave Macmillan;
8. Coufodakis, Van. 2015. *United Nations Peacekeeping and Peacemaking and The Cyprus Question*. Indianapolis, Indiana, USA. Western Political Quarterly, Indiana University Press;
9. Dodd, Clement. 2010. *The History and Politics of the Cyprus Conflict*. London, UK, Palgrave Macmillan;
10. Gamakharia, J. 2012. *Political History of Abkhazia*. Tbilisi, Georgia, S.S.U. Publishing;
11. Georgiades S.D. 2007. *Public Attitudes Towards Peace: The Greek-Cy-*

- priot Position*. Thousand Oaks, California, USA, Journal of Peace Research, Vol. 44, No. 5, Sage Publications, Ltd;
12. Hopf, Ted. 2005. *Identity, Legitimacy, And The Use of Military Force: Russia's Great Power Identities and Military Intervention in Abkhazia*. Cambridge, UK, Review of International Studies, Vol. 31, Force and Legitimacy in World Politics, Cambridge University Press;
 13. Kinosidu, Elisavet. 2016. *EU's Role in Conflict Resolution of Cyprus*, University of Georgia
 14. Laulhe Stephanie Shaelou, *The EU and Cyprus: principles and strategies of full integration*, Leiden, Netherlands, Brill Publishers 2009;
 15. Lindsay, J.K. 2005. *EU Accession and UN Peacekeeping in Cyprus*. London, UK, Palgrave Macmillan;
 16. Lindsay, J.K, Hubert Faustmann, Fiona Mullen. 2011. *An Island in Europe: The EU and the Transformation of Cyprus*. New York, NY, USA, I.B.Tauris & Co Ltd;
 17. Michális Stavrou. 2009. *Resolving The Cyprus Conflict - Negotiating History*. London, UK, Palgrave Macmillan;
 18. Mooney, E.D. 1995. *Internal Displacement and The Conflict in Abkhazia: International Responses and Their Protective Effect*. Boston, Massachusetts, International Journal on Group Rights Vol. 3, No. 3, Brill Publishing;
 19. Morelli, V.L. 2019. *Cyprus: Reunification Proving Elusive*. Congressional Research Service;
 20. Osiewicz, Przemyslaw. 2013 *Turkey and Its Position On the Cyprus Question Since 1974*. Poznan, Poland, Rocznik Integracji Europejskiej;
 21. Papadakis Yiannis, Nicos Peristianis, Gisela Welz. 2006. *Divided Cyprus: Modernity, History and The Island in Conflict*. Indianapolis, Indiana, USA, Indiana University Press;
 22. Sambanis, Nicolas. 1999. *The United Nations Operation in Cyprus: A New Look at The Peacekeeping-Peacemaking Relationship*. London, UK, Journal of International Peacekeeping, Taylor & Francis Ltd;
 23. Sepos, Angelos. 2008. *The Europeanization of Cyprus: Polity, Policies and Politics*. London, UK, Palgrave Macmillan;
 24. Stegenga, James. 1970. *UN Peace-Keeping: The Cyprus Venture*. Thousand Oaks, California, USA, Journal of Peace Research, Vol. 7, No. 1, Sage Publications, Ltd;

25. Tocci, Nathalie. 2007. *The EU and Conflict Resolution: Promoting Peace in The Backyard*. First published 2007 by Routledge;
26. Theodorides, John. 1982. *The United Nations Peace Keeping Force in Cyprus (UNFICYP)*. Cambridge, UK, The International and Comparative Law Quarterly, Vol. 31, No. 4, Cambridge University Press;
27. Xydis, S.G. 1968. *The UN Generaly Assembly as an instrument of Greek Policy over Cyprus*. Thousand Oaks, California, Sage Publishing Ltd;

გამოყენებული ოფიციალური დოკუმენტები

1. Cyprus Treaty of Guarantee, 1960
2. Cyprus Constitution 1960;
3. Agreement on a Cease-fire and Separation of Forces, Abkhazia, 1994;
4. Declaration on measures for a political settlement of the Georgian/Abkhaz conflict signed on 4 April 1994
5. The Constitution of Abkhazia, 1994;
6. The Principles For Division Of Competences Between Tbilisi And Sukhumi, 2002;
7. UN Security Council Resolutions on Cyprus and Abkhazia;
8. UN Security Council Presidential Statements on Cyprus and Abkhazia;
9. UN Secretary-General's Reports on Cyprus and Abkhazia;
10. UN Security Council Letters on Cyprus and Abkhazia;
11. UN Security Council Press Statements on Cyprus and Abkhazia;
12. UN General Assembly Documents on Cyprus and Abkhazia;
13. UN Human Rights Council Documents on Cyprus and Abkhazia;

გამოყენებული ინტერნეტ წყაროები

1. <https://www.nytimes.com/1999/09/15/world/republicans-step-up-attack-on-clinton-s-russia-policy.html>
2. <https://journals.sagepub.com/doi/10.1016/j.euras.2010.10.001>
3. <https://www.russiamatters.org/facts/timeline-us-russia-relations-1983-march-2019>
4. <https://www.geopoliticalmonitor.com/the-cyprus-issue-and-natural-gas-in-the-eastern-mediterranean>
5. <https://www.europeandatajournalism.eu/eng/News/Data-news/Gas-in-Cyprus-blessing-or-curse>
6. <http://iveria.biz/367-sizifosis-axali-cikli-tu-axali-realoba-xmel-tasua-zrvis-auzsi.html>
7. <https://foreignpolicy.com/2010/05/20/turkeys-zero-problems-foreign-policy/>